№ 188

1877—1905

№ 188

პარასკევი, 14 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დაუბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

შაბათს, 15 ოქტომბერს, [illegible] წლის შესრულებისა გამო გარდაცვალების ჩვენი ძვირფასის დაუვიწყარის

მიხეილ (მიშა) ნაცვლიშვილისა

გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი ქ. გორში, ღვთისმშობლის ეკლესიაში, რასაც აუწყებენ მშობელნი გარდაცვალებულისა **თამარა გიორგის ასული და პოდპოლკოვნიკი დავით მალაქიას ძე ნაცვლიშვილები** და **დიდი-დედა კნეინა ივლიტა დიმიტრის ასული ერისთავისა** შვილებითურთ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი კი 11 საათზე.

ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ტფ. ქართ. თავად-აზნაურთა კერძო გიმნაზიაში **თავისუფალი ადგილია გიმნაზიის ექიმისა,** რომელსაც ჯამაგირად ეძლევა 2000 მან. ვისაც ჰსურს ხსენებულ ადგილზე გამწესდეს, [illegible] უნდა მიმართოს საზოგად. გამგე კომიტეტს. (3—6.—1)

ტფილისის სათავად აზნაურო საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ამით აუწყებს ბ.ბ. რწმუნებულთ ამ ბანკისას, რომ ამა 1905 წლის 20 ნოემბერს, დილის ათ საათზე, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქ. დანიშნულია არა ჩვეულებრივი კრება რწმუნებულთა.

განსახილველი საგნები:

1) მოხსენება განსაკუთრებულის კომისიისა ზედამხედველ კომისიის რეორგანიზაციის შესახებ.

2) მოხსენება გამგეობისა ბანკის წესდების 1 და 20 §§-ის შეცვლის შესახებ.

3) არჩევნები გამგეობის თავმჯდომარისა, ნაცვლად თავ. ი. გ. ჭავჭავაძისა, რომელმაც სამსახურზე უარი განაცხადა

და 4) თავ. ი. გ. ჭავჭავაძის 30 წლის სამსახურისთვის დაჯილდოვება.

შენიშვნა. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს. (3—1)

დოქტორი მედიცინისა

ვ. ი. ინაშვილი

მიიღებს შინაგანის, ქალების, და ბავშვების ავადმყოფებით შეპყრობილთ, ნაშუადღევის პირველ საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 31, სახლი მადათოვისა. (20—6)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. იორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ჟ. ზ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

ნ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ჰ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ზქალიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

მ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 სუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

ბძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლ 18.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა ფორერის სახლის № 157

ვაწნაძე სვირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

პარასკევს, 14 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქმნება

გალკა

ოპერა 4 მოქმ. მუსიკა მონიუშკოსი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნოვოსპასკაია, ნაკიტსკაია; ბ-ნნი: სლავინი, ევლახოვი, ვოლსკი, დემინენკო, ფილიპოვი, შენი.

ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კაპელმეისტერი ი. პ. ფალიაშვილი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

შაბათს, 15 ოქტომბერს, სპექტაკლი „გალკა" წარმოდგენილი იქმნება „რომეო და ჯულიეტა" ოპერა 5 მოქმედ. მუსიკა გუნოსი.

მზადდება წარმოსადგენად „ზაზა" ოპერა 4 მოქმ. თარგმანი ამნისა მუსიკა ლეონკავალლოსი, თარგმანი გორჩაკოვისა.

ბილეთები იყიდება.

დღევანდელი ვითარება

ისტორიაში არასდროს არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რომ მმართველ წრეებს თავის ნებით, გარემოებისაგან ძალდაუტანებლად, დაეთმოთ ხალხისთვის რაიმე მნიშვნელოვანი უფლება და ამგვარად თვითონ შეემცირებინოთ თავისი ძალა და უფლება-მოსილობა. მმართველი წრეები ემორჩილებოდნენ და დღესაც ემორჩილებიან მხოლოდ საზოგადოებრივ ძალას, მაგრამ ეს ძალა საკმაოდ ძლიერი უნდა იყოს, რომ მათ ბატონობაზე ხელი აალებინოს და „დათმობა" აიძულოს. საზოგადოებრივი ძალა კი ერთსა და ორს დღეში ვერ მიაღწევს განვითარების ისეთ წერტილს, რომ იგი დიდად მრისხანე იყოს და „დანებებას", დამორჩილებას აუცილებლად ხდიდეს. საზოგადოების გულში ამოხეთქილი მოძრაობა, რა ზომისაც უნდა იყოს იგი, აშინებს და საგონებელში აგდებს მმართველ წრეებს, მაგრამ, სანამ იგი საკმაოდ განვითარდებოდეს და თავის მოთხოვნილების შესრულებას აუცილებლად გახდიდეს, ხსენებულ წრეებს რჩებათ კიდევ დრო რყევისა და წინ და უკან წევა-რხევისა. ამ შემთხვევაში ეს წრეები სხვადასხვა „დაპირებით" აძლევენ პასუხს საზოგადოებრივ მოთხოვნილებას და ამ „დაპირებათა" ასრულება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ფხიზლობს თვით საზოგადოება... არის ხოლმე მომენტი, როცა საზოგადოებრივ მოძრაობის სიახლით დამფრთხალი მოწინააღმდეგე თავის „დაპირებას", არსებულ წესწყობილებასთან შედარებით, ცოტა დიდის საზომით იღებს, მაგრამ დგება აგრეთვე ისეთი,—რასაკვირველია, წარმავალი,—მომენტი, როცა იგივე წრეები ფიქრობენ, რომ შეიძლება დანაპირების აუსრულებლადაც ძველის საშუალებითა და ღონისძიებით საზოგადოებრივ მოთხოვნილების უყურადღებოდ დატოვება და აზვირთებულ ხალხის დამშვიდება...

მაგრამ ნამდვილად ხალხურ მოძრაობას თანდათან მეტი ზვირთები ემატება და ახლობელი მერმისი ცხადად ამტკიცებს, რომ ფუჭი იყო იმ „წრეების" მოლოდინი და მოსაზრება...

ასეთ გარდამავალ ხანაში, როცა ძველ წყობილებას ძირი ეთხრება, მაგრამ ჯერ კიდევ იგი ზეზე დგას და შორიდან მეხედვით მაგარ შენობას ჰგავს, მთავრობის პოლიტიკა ყოველთვის სავსეა წინააღმდეგობითა და უსწორმასწორობით. ამ პოლიტიკაში წესად არის აღიარებული ხან „დათმობა" და „დაყვავება", ხან ხიშტი და სამხედრო ძალა, ხან „ნდობა" საზოგადოებრივ ძალთა, ხან კიდევ დევნა და ძალმომრეობის გამეფება.

პოლიტიკურ ცხოვრების რომელ მხარესაც კი შეხედავთ დღეს, ყველგან ისეთ ფაქტებს დაინახავთ, რომელნიც სავსებით ამართლებენ აქ გამოთქმულ მოსაზრებას. ამგვარი ფაქტები ისე ბევრია, რომ საჭირო არაა დიდხანს ძებნა ან არჩევა. მთელი საქართველო, მაგალითად, აბობოქრებულია დღეს გლეხთა აგრარულ მოძრაობით. რამდენადაც ეს მოძრაობა ეკონომიურის ხასიათისაა, იგი გამოწვეულია გლეხობის გაჭირებულ მდგომარეობით და კერძოდ მიწის სიძვირით. მთავრობას თუ მართლა სურვილი აქვს ხალხის გაჭირებას ყურადღება მიაქციოს,—ცხადია, იგი უნდა შეეცადოს გლეხთა ეკონომიურ საჭიროების დაკმაყოფილებას და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას. თუ სადმე თავისუფალი მიწაა ჩვენში,—ცხადია, იგი ყველაზე უწინ ადგილობრივ გლეხობას უნდა მიეცეს დასამუშავებლად. თუ საზოგადოდ აგრარულ რეფორმებს რაიმე მნიშვნელობა აქვს,—ცხადია, ამგვარი რეფორმები აქ უნდა იქმნეს მალე შემოღებული, რადგან ხალხის გაჭირება და ამით გამოწვეული მღელვარება უკიდურესობამდის აღწევს ჩვენში. პირველ ხანებში ამ მხრივ, მართლაც, რამდენიმე „დაპირება" გამოცხადდა ოფიციალურად, მაგრამ დღემდის არც ერთი დანაპირები არ შესრულებულა,—პირიქით, ზოგიერთ ისეთ ღონისძიებას ხმარობენ, რომელიც პირდაპირ უარჰყოფს იმ დაპირებას და საზოგადოდ მოხელეთა „რეფორმატორულ" საქმიანობას. ნაცვლად ადგილობრივ უმიწა-წყლო გლეხებისთვის თავისუფალ მიწების დარიგებისა, კაზაკების გადმოსახლებას აპირობენ თურმე კავკასიაში. ერთ ადგილობრივ რუსულ გაზეთს იმასაც ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ მთავრობა ერთი მილიონ მანათის გადადებას აპირობს კავკასიაში რუსთა დასახლების საქმის მოსაწყობად...

უვარგისობა არსებულ პოლიტიკურ წესწყობილებისა ყოველ დარგსა და საქმეში გამოიხატა. მაგალ., გარუსების პოლიტიკამ, რომელიც გამეფებული იყო ჩვენებურს სასწავლებლებში, სრულიად გააკოტრა ეს „განმანათლებელი" დაწესებულებანი. მთავრობამ განიზრახა რეფორმების შემოღება და, სხვათა შორის, გადასწყვიტა, პირველდაწყებით სკოლებში მაინც, სწავლებისთვის ბუნებრივი ნიადაგი მიეცა. მაგრამ გავიდა რამდენიმე კვირა და,—ნაცვლად დედა-ენაზე სწავლების მოწყობისა, იანოვსკის დახავსებული სასწავლო პროგრამა გამოაცხადეს სკოლებში სახელმძღვანელოდ...

ეგევე უნდა ითქვას საშუალო სასწავლებლების შესახებაც. აქაც მოსწავლეთა დედა-ენის სწავლების საქმე დღესაც ისეა, როგორც შარშან და შარშან-წინ იყო, თუმცა დაპირება საშუალო სკოლების შესახებაც სულ ორიოდე თვის წინად ბევრი და ძალიან ბევრი გვესმოდა...

გვესმოდა ისიც, რომ მთავრობა ნდობითა და ყურადღებით უნდა მოპყრობოდა საზოგადოებას და მის მოთხოვნილებას. მაგრამ ნამდვილად სამხედრო წესითა და ეგზეკუციითაა მოცული მთელი ჩვენი მხარე და არის ისეთი ადგილები, სადაც ხალხი ველარ გაჩერებულა და ტყეში იხიზნება...

... ერთის სიტყვით, მდგომარეობას გაუმჯობესობა არ ეტყობა,—პირიქით, რეაქციაა დამდგარი და სისასტიკეა გამეფებული...

ცხადია, ცხოვრების ამგვარ პირობებში ჩაყენება ვერ დაამშვიდებს ხალხს.

მაგრამ არიან თურმე ისეთი ადამიანები, რომელთაც სჯერათ, რომ ასეთის წესით შეიძლება მშვიდობიანობისა და სიწყნარის დამყარება...

სიკვდილით დასჯა

თანამედროვე ადამიანის სვინიდისი ვერ შეურიგდება სიკვდილით დასჯას...

ხალხი ხშირად ორ მოწინააღმდეგე ბანაკად იყოფა, ერთის მხრივ განახლების მოტრფიალენი ცდილობენ შეერთებულის ძალით მოსპონ ძველ რეჟიმის მომხრეთა გაბატონება და ხალხის სურვილებს მეტი ადგილი და პატივისცემა დაუთმონ სახელმწიფოში, მეორე მხრივ კი თავს იცავენ ისინი, ვინც ამ ძველ რეჟიმით ყოველთვის კმაყოფილი ყოფილა და ვისაც არ უნდა, რომ ხალხმა რითიმე შეასუსტოს მათი გავლენა და ბატონობა..

ვინ გამარჯვებს? მტკიცე დისციპლინით შეკავშირებული ძალები, აღფრთოვანებული იდეალით, თავდადებული და აშკარად მებრძოლი უკეთეს მომავლის მოსაპოვებლად. ძველადვე გაბატონებული ბიუროკრატია, რომელიც ბრძოლის დროს თავის დასაცველად ხმარობს ყველა იმ ძალას, რომელიც სახელმწიფოს საერთო კუთვნილებას შეადგენს,—ეს ის ძალები არის, რომელიც სპობს სიტყვის, პრესსის და კრების თავისუფლებას, რომელიც შეუძლებლად ხდის ხალხის თავისუფალ განვითარებას. ცენზურა პრესსას ნებას არ აძლევს გაბატონებულ წრეების საწინააღმდეგოდ რამე დასწეროს. ადმინისტრაცია თავის ნებით აშორებს საზოგადოებას ყველა იმ პირს, რომელიც მას ამ წრეების მოწინააღმდეგე ჰგონია და მათ თავისუფალ ლაპარაკის და შეკრების უფლებას ართმევს. ჯარი მხოლოდ ადმინისტრაციის ბრძანებათა აღმასრულებელი ხდება და მხარს უჭერს ისევ ამ წრეების გაბატონებას. ადამიანი—ყოველ მხრივ უფლება მოკლებული,—სასამართლოში ფიქრობს ხსნის მოპოვებას... სასამართლო,—ეს ერთად ერთი, ცოტად თუ ბევრად, დამოუკიდებელი ძალაა, რომელსაც შეუძლიან სიმართლის აღდგენა, სადაც ორი მოპირდაპირე,—ძველი რეჟიმის მომხრენი და ახალის მოტრფიალენი,—ერთმანეთს ებრძვიან.

და, მართლაც, იქ, სადაც სასამართლო ადმინისტრაციაზე დამოუკიდებელია, როგორც, მაგ. ინგლისში, მსაჯული ხშირად მფარველობას უწევდა იმათ, ვინც ცდილობდა, არსებულ რეჟიმის წინააღმდეგობით, ახალ წესების შემოღებას სახელმწიფოში. იქ მსაჯული ბოროტმოქმედებად არ სთვლიდა ამ წინააღმდეგობას და ამართლებდა იმათ ვისაც მთავრობა პასუხის-გებაში აძლევდა, როგორც არსებულ რეჟიმის მოწინააღმდეგეთ და მავნებლებს სახელმწიფოსთვის. მსაჯულის სინიდისი ნებას არ იძლეოდა, რომ დაესაჯათ ისინი, ვისაც ხალხისთვის უკეთესი მომავალი ენატრებოდა, მით უფრო მაშინ, როდესაც არსებული რეჟიმი ხალხის ყველა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა და ხშირად წინ ეღობებოდა ხალხის სურვილების განხორციელებას. მსაჯული აცხადებდა, რომ ასეთი ადამიანი ბოროტმოქმედი არ არის, რომ იგი არის გაბატონებულ წრეების მოწინააღმდეგე, მაგრამ ხალხის მოწინააღმდეგედ არ ჩაითვლება და, რაკი სახელმწიფო და სასამართლო ხალხისთვის არსებობს და არა ამ გაბატონებულ წრეებისთვის, ამიტომ არ შეიძლება იმათი დასჯა, ვინც მხოლოდ ამ გაბატონებულ წრეების მოწინააღმდეგედ გამოდის...

სასამართლოების ასეთი დამოუკიდებლობა არაა სასურველი გაბატონებულ წრეებისათვის. ამნაირ დამოკიდებელ სასამართლოების მაგიერად ცდილობენ შემოიღონ სასამართლო, ადმინისტრაციის ან უფროსების სურვილის აღმასრულებელი, ან სასამართლოს მოქმედება შეზღუდონ და მსაჯულებს მსჯელობის თავისუფლება მოაკლონ. ამ მიზნით ჩვეულებრივ სასამართლოების მაგიერად შემოდის სამხედრო სასამართლოები ან ადმინისტრატიულის წესით ადამიანის გასამართლება. ადამიანის ადმინისტრატიულის წესით გასამართლება რომ არ ვარგა, რომ იგი თვითნებობის გამომხატველია და ძალმომრეობის შემქმნელი, ამაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. მწერლობასა და ცხოვრებაში საზოგადოებამ უკვე უარჰყო ასეთი გასამართლება და საჭიროდაც სცნო მისი სამუდამოდ მოსპობა.

სამხედრო სასამართლოები მშვიდობიანობის დროს, მოქალაქეთა გასასამართლებლად შემოღებულია იმისთვის, რომ სახელმწიფოში გაბატონებულ წრეების ყოველივე მოწინააღმდეგეს უდიდესი სასჯელი გადაუწყვიტოს—სიკვდილი, და რომ ამით დაშინდეს ყველა, ვისაც უნდა სახელმწიფოში გაბატონებულ წრეების ჩამოშორებით ახალი წყობილება დამყარდეს.

სიკვდილით დასჯა... სასჯელი, რომლის გამოსწორება არ შეიძლება, სასჯელი საშინელი, შიშის მომგვრელი... სამხედრო სასამართლო, რომელიც ხედავს, რომ ბრალდებული დამნაშავე იმითი არის, რომ მხოლოდ განიზრახა სხვისი მოკვლა ან დაჭრა, რომელმაც იცის, რომ ჩვეულებრივ დროს ამისთვის მხოლოდ ციხეში ჩასმით სჯიან ადამიანს, ვალდებულია სიკვდილით დასაჯოს იგი,—სხვა სასჯელი სამხედრო სასამართლომ არ იცის.

სიკვდილით დასჯა, როდესაც ვიცით, რომ სასამართლოში შეცდომებიც ხშირია და რომ სამხედრო სასამართლოებს ამ ბოლო დროს რუსეთში არა ერთი შეცდომა მოსვლიათ, რომ ერთხელ დამნაშავედ ცნობილი შემდეგ, საქმის გადასინჯვის დროს, სრულებით უმანკოდ უცვნიათ მსაჯულებს... საქმე რომ არ გადასინჯულიყო, ხომ დაისჯებოდა სიკვდილით უდანაშაულო.. ყველას ხომ არ შეუძლია საკასაციოდ მოიცალოს და საჭირო ხარჯებიც იკისროს?..

სიკვდილით დასჯა იმისათვის, რომ ადამიანი წინააღმდეგობას უწევს არსებულ რეჟიმს.. ამ ერთი წლის წინეთ სიკვდილით სჯიდნენ იმისთვის, რაც ახლა თვით მთავრობას ხალხისთვის საჭიროდ აქვს გამოცხადებული, სიკვდილით სჯიდნენ იმისთვის, რაც დღეს ყველასათვის არის ნება-დართული და ცხადია, რომ ის, რის გამოც დღეს ზოგიერთები სამხედრო სამართლის ხელში ვარდებიან და რისთვისაც მათ სიკვდილით სჯიან, ამ მოკლე ხანში უკვე ნებადართული იქნება,—მოისპობა ის, რასაც იცავს სამხედრო სასამართლოს მფარველობის ქვეშ მყოფი ადმინისტრაციის სხვადასხვა მოხელე.

სახელმწიფო და სახელმწიფოს ყოველი დაწესებულება ხალხისთვის არსებობს და თუ იმ წესების შესარჩენად, რომელთაც უკმაყოფილებას უცხადებს ხალხი, საჭიროა ხალხის დაშინება, სასტიკი ზომები, სიკვდილით დასჯა, ცხადია, რომ მათი არსებობა ხანგრძლივი აღარ იქმნება, ვინაიდან ხიშტის წვერზე, მათრახზე ან სარჩობელას ბაწარზე სახელმწიფო წეს-წყობილების და ხალხის კეთილდღეობის აშენება არ შეიძლება.

ვარ. ფ—ი.

ვიტტე და მუშების დელეგატები.

ვიტტეს ლაპარაკი ჰქონდა მუშების დელეგატებთან,—თქვენი მოთხოვნილების მხოლოდ ზოგიერთი მუხლი შეიძლება დაკმაყოფილდეს ეხლავე, დანარჩენების დაკმაყოფილებას კიდევ რამდენიმე წელიწადი უნდაო,—თუმცა მოსკოვში მუშათა დელეგატებმა განაცხადეს, მშვიდობიანობა მხოლოდ მაშინ დამყარდება რუსეთში, როდესაც მთელი ჩვენი პროგრამმა იქმნება სავსებით შესრულებულიო.

ვიტტე უფრო ეკონომიურ მოთხოვნილებათა შესრულებას ჰპირდება და ამბობს, პოლიტიკურ პროგრამაზე ახლა უარი განაცხადეთო,—ან რად გინდათ თქვენ საყოველთაო საარჩევნო უფლება,—იგი სხვების სასარგებლოდ შეიქმნებაო.

ჩვენ ისეთ დროს ვცხოვრობთ, რომ არ ვიცით, თუ რას მოგვიტანს ახალი ხვალინდელი დღე და ხვალ კიდევ რომელი ახალი ცვლილება შემოვა სახელმწიფოში, ან რა მიმართულებას მიეცემა საზოგადოებაში მომქმედ ძალთა ურთიერთობას. ცხადია მხოლოდ, რომ ცვლილების ხანა მოგვიახლოვდა,—ამის წინამორბედია ის მოძრაობა, რომელიც ახლა თითქმის ყველა რკინის გზას მოედო რუსეთში, ამისი წინამორბედია მოსკოველ მუშების განცხადება და თვით ვიტტეს სიტყვები, რადგანაც ვიტტე აქ მმართველ წრეების აზრთა გამომხატველია და აცხადებს,—თქვენი პროგრამის შესრულება ჩვენ ასე ადვილად არ შეგვიძლიანო.

როგორის თვალით შეხედავს ვიტტეს სიტყვებს ხალხი,—შესძლებენ კიდევ ძველი რეჟიმის მომხრენი ბრძოლას განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, როდესაც რკინის გზებით მიმოსვლა შეწყვეტილი იქმნება და დეპეშებით აქეთ-იქით ბრძანების გადაცემაც აღარ იქნება შესაძლო,—თუ მაშინ მათ თავიანთი წინანდელი ძლიერება დაეკარგებათ,—ვინ იცის?

ვიცით მხოლოდ, რომ ოპოზიციის მომხრენი, ცხოვრების განახლების მოტრფიალენი თანდათან მეტ გაბედულობას იჩენენ და უფრო მედგრად ცდილობენ მიზნის მიღწევას...

ვიცით აგრეთვე, თუ დასასრულ რა ბოლო მოედება დღევანდელ განხეთქილებას, ვინაიდან არსად, მთელ დედამიწაზე, ხალხი ბოლოს და ბოლოს არ დარჩენილა დამარცხებული, როდესაც განთავისუფლების გზას დასდგომია და მოუთხოვია უფლებები სახელმწიფოში. ვიცით, რომ ამ მხრივ დღევანდელ მოძრაობაში საეჭვო არა არის-რა და რომ იგი სრულიად ეთანხმება მსოფლიო ისტორიის მსვლელობას. საეჭვო დღემდის მხოლოდ ის იყო, ძალით თუ ნებით შემოვა აუცილებელი ცვლილება სახელმწიფოში...

კ. ს.

ცოტა რამ მუშების კანონმდებლობის შესახებ

II.

ვინც იცის მუშათა კანონდებლობის მდგომარეობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ის დაგვეთანხმება, რომ ეს კანონდებლობა გერმანიაში შედარებით უფრო მეტად არის განვითარებული.

გერმანიაში დაშავებულ მუშათა დამცველი კანონი 1884 წელს შემოიღო ბისმარკმა. ამ კანონის შემოღებით რეიხსტაგში ბისმარკი, რა თქმა უნდა, თავის საკუთარ პოლიტიკას ემსახურებოდა, მას თავისი მიზანი ჰქონდა,—„რკინის კანცლერს" ეგონა, რომ იგი მუშათა შესახების რამოდენიმე კანონის შემქნელი თუ იქნებოდა,—ამით მოიპოვებდა ძალას მუშათა პარტიის სარევოლუციო მოქმედების შესასუსტებლად. ყველამ კარგად ვიცით, რაც მას შემდეგ მოხდა გერმანიაში და ამიტომ ამაზე სიტყვის გაგრძელება საჭირო არ არის. ვიცით ისიც, რომ ბისმარკისაგან შექმნილ კანონებით მუშები დღეს სარგებლობენ და რომ იქ სოციალ-დემოკრატია-

საც ამითი თავი მოსწონს: „აბა შეხედეთ ჩვენში რა კარგი კანონები არისო“.

მართლაც, გერმანული კანონი შედარებით მეტ გარანტიას იძლევა. პირველად იგი ყველა მუშებს არ ეხებოდა, მაგრამ მას შემდეგ იგი რამოდენიმეჯერ გააუმჯობესეს (1885, 86, 87 წწ.) და ახლა იგი იმდენად გაფართოვდა, რომ დღეს თითქმის ყველა დარგის მუშებს თანასწორად მფარველობს.

ამ კანონის განსაკუთრებული ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ იგი მხოლოდ პატრონთ ავალებს დაშავებულ მუშათა დასაჯილდოვებლად „საპენსიო“ თანხის შედგენას. პატრონები კანონის ძალით პატრონთა პროფესსიონალურ სინდიკატს წარმოადგენენ, და აი, ეს სინდიკატია პასუხისმგებელი დაშავებულ მუშის წინაშე. მუშა თუ დროებით დაშავდა, ე. ი. დროებით ველარ ესძლო მუშაობის გაგრძობა, მაგ. ხელი გაიფუჭა, ან თუ ჭრილობა რამე მიიღო, ერთი სიტყვით, მარცხი თუ მოუვიდა, რომელიც მას დროებით ჰყოფს უვარგისად, პატრონთა სინდიკატი ვალდებულია იკისროს მისი წამლობის ხარჯი და ამას გარდა მისცეს მუშას $^2/_3$ იმ სამუშავო ქირისა, რომელიც ეძლეოდა მას დაშავებამდის. მაგრამ ამ კანონის დიდი ნაკლი ის არის, რომ ქირის ეს $^2/_3$ მუშას დაშავების მეორე დღიდანვე არ ეძლევა, არამედ მხოლოდ მესამე კვირიდან.

ადვილი წარმოსადგენია თუ რა განსაცდელში ვარდება მუშა. ხშირად იგი ცოლშვილიანად ამ ორი კვირის განმავლობაში თავის ცხოვრების ერთად ერთ სახსარს—სამუშაო ქირას—მოკლებულია. მუშა, თუ ისე დაშავდა, რომ სამუდამოდ ეკარგება სხეულის რომელიმე ნაწილი,—მუშა თავის დაშავების შესაფერად მეტ ან ნაკლებ პენსიას იღებს. მარცხი თუ მნიშვნელოვანია, მაშინ მუშას მის ქირის $^2/_3$ ეძლევა პენსია.

დაშავებას მუშის სიკვდილი თუ მოჰყვა, ამ შემთხვევაში მემკვიდრეები (ისინი, ვინც განსვენებულის შრომით რჩებოდნენ), იღებენ მის დასამარხად საჭირო ხარჯებს (20 დღის ქირას) და ამის შემდეგ განსვენებულის ქირის 60% ს (ბავშვები მხოლოდ 15 წლამდის).

1902 წლის კანონი 18,867,000 კაცს მფარველობდა. სტატისტიკამ 476,000 მარცხი აღნიშნა. და ამაზე 157 მილიონი იქნა დახარჯული.

გადავიდეთ ახლა საფრანგეთზე, სადაც მუშები დიდის თავგამოდებით იბრძოდნენ უფლებათა მოსაპოვებლათ და სადაც ბრძოლა ჯერაც არ არის დასრულებული. 1898 წლამდის არავითარი საამისო კანონი არ იყო გამოცემული და, როდესაც მუშა დაშავდებოდა და ამაზე საქმე აღიძრებოდა, სასამართლო საერთო სამოქალაქო კანონებით ხელმძღვანელობდა, სახელდობრ 1382—83—84 მუხლებით, რომელთა ძალით მუშა იძულებული იყო დაემტკიცებინა, რომ მარცხის მიზეზი თვით პატრონი იყო, რის დამტკიცებაც ხშირად ყოვლად შეუძლებელია და საზოგადოდ კი დაშავებულ, ხელ-მოკლე და ცხოვრების უკანასკნელ სახსარს მოკლებულ მუშისათვის მეტად საძნელო და მოუხერხებელი. ამას დიდი დამტკიცება არ უნდა. ვინ არ იცის, თუ რა ძნელია დაშავებულ მუშისთვის პატრონის დევნა სასამართლოდან სასამართლოში. ამიტომ მუშები მეტად უკმაყოფილონი დარჩნენ, როდესაც 1898 წელს საამისო კანონი გამოიცა, რომელიც კითხვას სწორედ ამრიგად სვამდა. ახლა მუშათა ორგანიზაციების ორგანოს „ხალხის ხმას“ რომ ვათვალიერებთ, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი განუწყვეტელი ბრძოლა ჰქონდა მუშებს ამ კანონების წინააღმდეგ. 1902 წელს ეს კანონი მუშათა შეუწყვეტელ აგიტაციის გავლენით შეაკეთეს. შეკეთებულ კანონის უპირატესობა ის არის, რომ მის ძალით მუშამ აღარ უნდა დაამტკიცოს ხოლმე, რომ მისი დაშავება პატრონის ბრალია და პირიქით თვით პატრონმა უნდა დაამტკიცოს, რომ მუშა თავისი მიზეზით დაშავდა. ეს მუშისთვის შეღავათია.

მეპატრონე ვალდებულია მუშას ჯილდო მისცეს ყოველი იმ მარცხისათვის, რომელიც მას ოთხი დღით მაინც აჩერებს. თუ დაშავების შედეგი ისეთია, რომ მუშა სამუდამოდ და სრულიად ჰკარგავს მუშაობის შეძლებას, მას წლიურ ქირის $^2/_3$ აძლევენ თუ კი მარცხი დიდი არ არის, ე. ი. მორჩენის შემდეგ მუშა თუ სრულიად უვარგისი არ გამოდგა. სამაგიეროდ მუშაობის შეძლება სრულიად თუ დაეკარგა, იგი თავის წლიურ ქირის მხოლოდ ნახევარს იღებს. დაშავებას თუ სიკვდილი მოჰყვა, მუშის ცოლშვილს პენსიად აძლევენ: ცოლს 20%, ბავშვებს იმისდა მიხედვით ერთია, ორი თუ სამი,—25, 35 ან 40%, მხოლოდ 16 წლამდის. მუშა ცოლშვილიანი თუ არ იყო, მემკვიდრედ ითვლება ის, ვინც მისი შრომით რჩებოდა.

მუშას უფლება აქვს მეპატრონესაგან არჩეულ ექიმს არ მიენდოს. აგრეთვე მას შეუძლია თავისი საქმე ხელ მეორედ გაარჩევინოს, მაგრამ პირველი სამი წლის განმავლობაში საამისო სურვილი თუ არ გამოაცხადა, პირველი დადგენილება სამუდამო ხდება.

ეს კანონი იმიტომაც არ აკმაყოფილებს მუშებს, რომ იგი არც მუშების ორგანიზაციებს და არც დაშავებულის ამხანაგებს ნებას არ აძლევს მიიღონ რამე მონაწილეობა დაშავებულის ინტერესების დაცვაში. 1902 წ. სულ 223.286 მარცხი მომხდარა, ამათში 1445 შემთხვევა მუშის სიკვდილით გათავდა. 3970 მუშა სამუდამოდ დაშავდა, 213.947—დროებით. 3924 შემთხვევის შესახებ კი სტატისტიკა საამისო ცნობებსარ იძლევა.

ასეთია ამჟამად ხსენებულ კანონის მნიშვნელობა და მოქმედება. ამ უკანასკნელ ხანებში ასეთი კანონები თითქმის ყველა ევროპიულ სახელმწიფოშია შემოღებული. როგორც ზემოდ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, იგი ზოგან დაბალ საფეხურზე დგას, ზოგან კიდევ უფრო შემუშავებულია. ჯერ ეს კითხვა უკანასკნელად გადაჭრილი არ არის და მუშათა მოძრაობა და ორგანიზაციები აიძულებენ, როგორც მთავრობებს ისე კაპიტალისტებსაც უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ მუშათა საამისო მოთხოვნას.

თანამედროვე კაპიტალიზმი მუშათა კანონებში თავის დასაცველ იარაღს ხედავს, მაგრამ ამასთან ერთად მუშები ამა თუ იმ უპირატესობის მოსაპოვებლად ხშირად ებრძვიან კაპიტალისტებს და მმართველ კლასსებს. აქ მკითხველმა შეიძლება პატარა წინააღმდეგობა დაინახოს. ამიტომ ამისი განმარტებაა საჭირო.

პირველად უნდა აღვიაროთ, რომ მუშების მოთხოვნას იურიდიული ფორმა არასოდეს არა აქვს, იურიდიულ ფორმას მას მოწინავე დემოკრატია ანიჭებს. მეორედ, ბურჟუაზია კანონდებლობას თავის დასაცველ იარაღად ყოველთვის და ყველგან არა სთვლის, ამ იარაღად კანონდებლობა ბურჟუაზიისთვის მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში ხდება,—საამისო ინიციატივას ბურჟუაზია არასოდეს არ კისრულობს. მუშათა რეფორმების განხორციელებას ბურჟუაზია და მისი წარმომადგენელი—მთავრობა თავის გულკეთილობით არ იწყებენ,—ისინი ებრძვიან მუშათა მოთხოვნილების აღმოცენებას, მხოლოდ რაკი ამ მოთხოვნილებამ ერთხელვე იჩინა თავი, ბურჟუაზია ცდილობს იგი იურიდიულ ნიადაგზე გადაიტანოს.

იქ, სადაც მუშათა არავითარი მოძრაობა არ არის, არც არავითარი მუშათა შესახები კანონდებლობა იქ კაპიტალისტებს დესპოტიურად შეუძლიანთ წაიყვანონ წარმოების საქმე,—მათ ენის შემბრუნებელი არავინ არა ჰყავთ. ამიტომ იქ ურთიერთობის დასამყარებლად კანონდებლობა არ არის საჭირო, იქ ისედაც არის მტკიცედ დაცული ეს ურთიერთობა,—ბატონისა და მონის ურთიერთობა.

სადაც მოძრაობა არ არსებობს, სადაც წარმოების ნიადაგზე შეტაკება არ ხდება, სადაც მუშათა ორგანიზაციებს ძალა აკლიათ, იქ არაფერი არ არღვევს მოძრაობის თანდათანობას. ამ პირობებში ბურჟუზია არა თუ არ იღებს თავზე მუშათა კანონმდებლობის ინიციატივას, არამედ ყოველივე ღონისძიებით ებრძვის მის აღმოცენებას. მაგრამ შემდეგ, როდესაც ფესვს იკიდებენ მუშათა ორგანიზაციები და მუშათა მოძრაობა ფართო ხასიათს იღებს, როცა ხშირდება გაფიცვები, რომელნიც მუშათა კლასიურ გრძნობას აძლიერებენ, როდესაც მუშათა კლასი პოლიტიკურად მწიფდება, მაშინ ბურჟუაზია თანხმდება მოპირდაპირედ იცნოს მუშათა კლასი და ბრძოლა იურიდიულ ნიადაგზე გადააქვს: ეს უფრო ეთანხმება მის ინტერესებს, ვიდრე წარმოების წამდაუწუმ შეჩერება და ამით მის თანდათანობის დარღვევა.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია, როდესაც ჩავუკვირდებით მუშათა კანონდებლობის სწრაფ განვითარებას: ძველი ლიბერალური თეორია,—„არა-ინტერვენციონალიზმისა“ საშინლად დამარცხდა. ჩვენ ვიცით, რომ ამ თეორიას კიდევ ყავს თავისი თეორიული მომხრენი, მაგრამ პრაქტიკულად იგი დღეს მკვდარი, გაქარწყლებულია. უკეთესი ბედი არც „ინტერვენციონალიზმს“ ეწვია. უწინ იგი მმართველ კლასთა ნებაზე იყო დამყარებული, დღეს კი სოციალურ პროცესში გაერია ახალი ძალა,—მუშათა კლასი და მმართველ კლასთა ნება თავისუფალი აღარ არის. მისი მოქმედება იძულებული მოქმედებაა, დღევანდელი „ინტერვენციონალიზმიც“, ე. ი. მთავრობისაგან ამ საქმეში გარევაც, იძულებული და ნაძალადევია. მაგრამ ძალის დამტანი კლასი სახელმწიფოში კი არ არის, იგი სახელმწიფოს გარეშე დგას.

კამანდო გ—ლია.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 12 ოქტომბერი. საღამოზე ფერმის ქუჩაზე ვიღაც უცნობებმა სამი ტყვიით სასიკვდილოდ დასჭრეს ვინმე მკერავი ლარაძე. მკვლელობის მიზეზს სხვადასხვანაირად ხსნიან.

ახალი ამბავი

სამშაბათს, 11 ოქტომბერს, ნაშუადღევს 2 საათზე, კავკასიის ნამესტნიკს წარუდგნენ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თავადი ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანი, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. დ. წერეთელი, ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, ქუთაისის ქალაქის მოურავი თავ. დ. ა. ლორთქიფანიძე, თავ. ილ. ჭავჭავაძე, თავ. ვლ. ს მიქელაძე, თავ. ს. ვახვახიშვილი, ქრ. მამაცაშვილი, და სთხოვეს—საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია მიენიჭოსო.

თხოვნის მოსმენის შემდეგ ნამესტნიკმა მიუგო დეპუტაციას, რომ აღძრული საგანი მისი კომპეტენციის საზღვართა გარეშეა; ამას გარდა, ქართველების, როგორადაც რუსნი, აღიარებენ ერთს მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას და აქვთ ერთი მართლ-მადიდებელი ეკლესია, ამიტომ გაუგებარია ის, თუ რა სარგებლობა მოჰყვება საერთო რუსულ ეკლესიიდან ქართულ ეკლესიის გამოცალკევებას. რაც შეეხება ავტოკეფალიას, განაგრძო ნამესტნიკმა,—მე მგონია, საქართველოში იყო ორი კათალიკოსი—იმერეთისა და ქართლ-კახეთისა და, მაშასადამე არ იყო ერთი თავი ქართულის ეკლესიისა. ადგილობრივ საეკლესიო სამმართველოში რეფორმების შესახები საგანი ჩქარა გადაწყდებაო.

გამომშვიდობების დროს, ნამესტნიკმა სთქვა: მე ჯერ დარწმუნებული არა ვარ ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის საჭიროებაში და, თუ ეს რწმენა განმიმტკიცდება, ვეცდები და დაგეხმარებითო.

◆ ოთხშაბათს, 11 ოქტომბერს სატიოზე, ღამის 11 საათზე მოჰკლეს **ყოფილი პოლიციელი პირველ საპოლიციო უბნისა ჯიოშვილი**, რომელმაც განსვენებულ ლენტო ხერხეულიძეზე პოლიციას მიუთითა, როგორც ყუმბარის მსროლელზე.

◆ **პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა**, რომ გაჩხრეკის დროს ყველა კანონიერი მოთხოვნილებანი აღასრულეთო.

◆ გუშინ, 12 ოქტომბერს, **კრება ჰქონდათ ეგრედ წოდებულ „პატრიოტულ საზოგადოების“ მუშებს**; კრების საგნად ის კითხვა იქმნა დაყენებული, რომ მიიღონ, საზოგადოდ მონაწილეობა საერთო გაფიცვებში, თუ არა. კრებამ დიდი კამათის შემდეგ, ერთხმად დაადგინა მხარი არ დაუჭირონ გაფიცულ მუშებს და არც ხელი შეუშალონ. აგრეთვე ეთხოვოს სხვა მუშებს, ხელი არ შეუშალონ მათ მუშაობას.

◆ კავკავის უმთავრეს ქედზე რკინის გზის გაყვანის საკითხი ხელახლა წამოაყენა გზათა სამინისტრომ და ულუხანლუ-ჯულფის რკინის გზის გამყვანი ვურცელი კვლავ გაიწვია პეტერბურგს. ვურცელს თან **ხუთი პროექტი წაუღია**. ვურცელის გამოანგარიშებით, გზა სულ 50-60 მილიონი ჯდება.

ს. იანეთი (ქუთაისის მაზრა) 11 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, მოულოდნელმა და ხანგრძლივმა **ზარის რეკვამ სოფელს შემდეგი გულ შემზარავი ამბავი ამცნო**: ს. იანეთში მცხოვრებს ილარიონ კოხრეიძეს ლაპარაკი მოსვლია თავის მეუღლესთან, რომლის შემდეგაც, ძილის დროს, წალდით თავი გაუჩეხა ქალისათვის. ქალი იმ წამსვე გარდაცვლილა. ამის შემდეგ კოხრეიძეს თავი რევოლვერით მოუკლავს. [illegible] მომხდარა, დაახლოვებით, ღამის სამ საათზე. უბედურებს დარჩათ ორი ბავშვი.

◆ „ვოზროჟ.“-ის პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ამის შემდეგ მოსაზრებანი და კანონ-პროექტები, **რაც კავკასიას შეეხება** და სახელმწიფო საბჭოს წარუდგინენ, **ნოლდეს ხელში გაივლის**. ამაზე ნამესტკმა უმაღლესად ნებართვა მიიღო. კავკასიაში გადმოსახლების საქმისთვის თხოულობენ 999,490 მ. პოლიციის გამგის კანცელარიისთვის—43,567 მ.

◆ „კავკაზ“-ში **ოფიციალურად მოყვანილია** კავკასიის ნამესტნიკის განკარგულება, რომლითაც გენერალ-მაიორი პრინცი ნაპოლეონი სამსახურიდან განთავისუფლებულ იქმნა და მის აღაგას ერევნის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი იაცკევიჩი. ამას გარდა განჯის გუბერნიაში შემოღებულ იქმნა სამხედრო წესები და გენერალ-გუბერნატორობა ჩაბარდა გენერალ თაყიშვილს.

◆ გუშინ დილას „რუსეთის სააგენტოს“ დეპეშები ტფილისში არ მოსულა.

◆ ნახიჩევნიდან გვატყობინებენ: დღეს დაიწყო **ქალაქის არჩევნები სომხების დაუსწრებლად**. არჩეულ იქმნენ თორმეტი რწმუნებული და ოთხი კანდიდატი, ყველა მაჰმადიანები.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, **ვაჟების გიმნაზია ბათუმში ახალ-განკარგულებამდის დაიკეტა**.

◆ **ბათუმის ქალაქის მოურავის მოადგილედ** „ჩერ. ვეს.“ სიტყვით არჩეულ იქმნა გამგეობის წევრი გ. დ. ჟურული.

◆ მე-6-ე საპოლიციო უბანში მცხოვრებმა მ. გ. მარკოზოვისამ **შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკთან**, რომ კაზაკები, რომელთაც მთელი ქუჩა შეჰკრეს, გადაასახლონ აქედან, რადგანაც მის სახლის მდგმურებმა სახლი დასცალეს და გადავიდნენო.

◆ როგორც გამოირკვა, ტფილისის ხაზინის დუქნების გამგეებს 1902—3 წწ. შემოსავალ-გასავლის დიდძალი დოკუმენტები და კვიტანციები აკლიათ თურმე.

◆ გარეშე საქმეთა სამინისტრომ კავკასიის უმაღლეს მთავრობას მოსთხოვა ცნობები თავისუფალ მიწების შესახებ, რადგანაც კავკასიაში ისევ აპირობენ ამერიკიდან დუხობორების გადმოსახლებას.

◆ გერმანელთა კონსული [illegible] ტფილისიდან ამავე თანამდებობაზე გადაყვანილ იქმნა ხარკოვში.

◆ პეტერბურგის სულით ავადმყოფთა სამკურნალოში ამჟამად ყოფილა სულით ავადმყოფი [illegible] იოსებ როსტომის ძე შუბლაძე, რომელსაც ესაჭიროება ჰაერის გამოცვლა. პეტერბურგიდან [illegible] მოსწერა ტფილისის ქალაქის [illegible] საავადმყოფოს გამგეობას, [illegible] ტფილისის ქალაქის საავადმყოფოს გამგეობამ, [illegible] უარი შეუთვალა.

◆ როგორც „კაზბეკი“ გადმოგვცემს, სამშაბათიდან კავკავში გაფიცულან ტრამვაის ვატმანები და კონდუქტორები. გაფიცულნი თხოულობენ ჯამაგირების მომატებას. უმთავრეს ქუჩაზე კონტროლიორებს და დეპოს მოსამსახურეთ დაჰყვდეთ სამი ვაგონი, გაფიცულებმა რამდენჯერმე გააჩერეს ეს ვაგონები და [illegible]

ფელეტონი

ყორანი

მთებს შავად ნისლები მოსდებოდა და დაებნელებინა მთელი არე-მარე. დღე იყო, მაგრამ მზე გამქრალიყო. უკუნეთს შთაენთქა იგი. თუმცა ებრძოდა ჯანღების გროვას, მოიწევდა მაღლიდან დედამიწის გასანათებლად, მაგრამ ამაოდ; ჰგზავნიდა სხივების რაზმებს, რათა გაეპო წყვდიადი და დაემკვიდრებინა ქვეყანა, მაგრამ დღეს დღეობით ჯანღი იმარჯვებდა. თითქოს პირობა აქვთო, ახალ-ახალი გუნდი ნისლისა,—მთასავით დიდრონები,—მოგორავდენ ხეობებზე დაბლიდან მაღლისკენ—გეგონათ ჯურღმულები. მთელი მიდამო სდუმდა, ფუდა და უგემურად ფშვინავდა. მეტის მეტი შრომისგან ნისლებს ოფლი სდენოდათ. ნისლების ოფლი ბალახსა და მთის ყვავილებს თავზე ჰყრქვეოდა.

მაშ, ალაგ ალაგ რამღა შეღება ბალახი წითლად? ეს ხომ სისხლია!.. ჯანღთან ერთად მგელი იმარჯვებდა: დაჰრეოდა მთელ ცხვრის ფარას და მუსრს ავლებდა...

მაღლიდან თავზე დასტრიალებდა ყორანი, ამაზრზენის ხმით თავზე დაჰყრანტალებდა, ამხნევებდა: „ყოჩაღ, ემაგრე! გამუსრე! არ გაუშვა ერთი ცოცხალი! რაც პირობა გვაქვს, უცილებლად აასრულე! ფიცი არ გასტეხო“. ყორანი ხომ მგელთან გაფიცულია. მანამდე უნდა მუსროს ცხვრის ფარა, ვიდრე ძალი და ღონე შესწევს, ვიდრე ერთს ცოცხალსა ჰხედავს. ამიტომ არის, რომ დღე ყორანი მგელს წინ უძღვის და ხმით ამცნებს, სადაც საქონელია, სადა ცხვრის ფარაა...

ჰმუსრავს ცხვრებს მგელი. მთელი ტანი სისხლში აქვს მოსვრილი. ყველა ეს ხდება ჩუმად; ხმა მომაკვდავთა არავის ესმის, რადგან არც ერთი მათგანი კვნესას არ გამოსცემს, არც ბღავის, არც ღრიალებს. ეს ცხვრის წესია... იხოცებიან ხმა-ამოუღებლად. მხოლოდ ისმის ღრენა მგლისა და ყრანტალი ყორნისა: „გამოსჭერ ყელი!“

სად არის მწყემსი? სად არიან ძაღლები?

ვიდრე მგელი მიესეოდა ცხვრის ფარას, ძაღლები მტერმა დახოცა, ხოლო მწყემსი, გულში დაჭრილი, თეძოზე წევს, სისხლი შადრევანივით ამოსდის და გულ-საკლავად გმინავს... არსად მისთვის ექიმი, უბრალო წყლულის შემხვევიც კი არავინ უჩნდება...

„ნუ თუ სულ გაწყდნენ ადამიანები? აღარავინ არის ცოცხალი დედამიწაზე? მე ხომ ვკვდები, ცხვარს მაინც ვინმე უპატრონოს!“

— ვაჰმე ჩემო ამაგო, ჩემო უქმად ჩავლილო შრომავ!“—ლუღლუღებდა იგი მომაკვდავის ხმით.

ყორანი ხარობდა... შუადღე ახლოვდებოდა. ნისლებმა მაღლა აიწიეს და მთებზე დინჯად დალაგდნენ. განათდა მიდამო, მზის სხივმა გასჭრა და დაქსაქსა ნისლები.

ახლა ცხადად სჩანდა, რასაც აქამომდე წყვდიადი ჰფარავდა. სისხლი, როგორც წყალი, ისე მიდიოდა და თავ-მოჭრილი ცხვრები რიყესავით ეყარა, მათზე ყორანი ნავარდობდა, ხარობდა... სისხლში ამოსვრილი ხან ერთსა სთხრიდა, სჩიჩქნიდა თვალებს, ხან მეორეს... მკვდრებზე მეორედ მოვლენილს სიკვდილსა ჰგავდა...

მგელი კლდის ძირას მიგდებულიყო და გაუგეშილი, გათოშილი ქასქასებდა. წითელი ენა გადმოეგდო, ხოლო თავის ნამოქმედარს თვალს არ აშორებდა. როგორ ხარობდა!.. როგორ ლაღობდა!.. საზარელი სურათი მგლის სულ გულს სიამოვნებით ავსებდა.

სვავებს, ორბებს, ყაჯირებს, ყვავებს და სხვა მოსისხლე ფრინველთაც უკვე სუნი აეღოთ. ნოტო და ნოტო მოდიოდა, უზარმაზარი ტანისა, შესაზარი შეხედულობისანი გროვდებოდნენ, სხდებოდნენ კლდის კინჩხებზე, ხეებზე. მადა-აღძრულნი გარშემო თვალებს აფეთებდნენ. ყორანი კი უკვე გამაძღარი იყო... ბრაზი მოსდიოდა.

— გასწყდით, გასწყდით! ვის ამაზე მისდიხართ, თქვე მუქთა-ჭამიებო!? ამბობდა თავისთვის ყორანი და თანაც სისხლი ყელში ებჯინებოდა: როგორ მოქუჩდნენ, ვერ უყურებთ? ხვალ იქნება ნაწლევის ნაგლეჯიც კი ვეღარსად ვიპოვო... ნეტავი შეიძლებოდეს დავმალო სადმე ლეში, მოვაფარო მიყრუებულს ადგილას. კაი ფიქრია. სწორედ კარგი. მაშ რა ვქნა? დღეს რომ გავძღე, ხვალ რაღა ვქნა, ხვალ აღარ მინდა ცხოვრება?.. განა მუდამ ასე გავიმარჯვებთ მე და ჩემი თანამზრახველი მგელი? ხვალინდელი დღეც უნდა მახსოვდეს. ჰყურობთ ამ გველეშაპებს, როგორ თვალებს აბრიალებენ? თითო სვავს ათი ცხვარი არ ეყოფა. რას გაუშვებენ, ხვალ-ზეგ, მგონი, ძვალის ნატეხიც კი არსად მოიპოვებოდეს... დღეს ლეშს შეჰკულაპავენ, ხვალ ძვლებს დაესევიან და ისეთ ლაწა-ლუწს აუტეხავენ, რომ, ვინ იცის, გეგონოს მთა-ბარი სქდება და კლდეები ინგრევაო.

არა!. მე ჩემს თავს უნდა ვუპატრონო ჩემთვის კარგი და კეთილი არავის არ უნდა. განა არ ვიცი? ახლა იმათ ყველას ჩემზე ბრაზი მოსდის და ამბობენ თავიანთ გულში: ეგ უჯიშო, ეგ ყველა ფრინველებში გამორჩეული, როგორ ფართაშებს, თითქოს ღმერთს ეს განაჩენი ყორნის სასარგებლოდ დაედგინოს და მაგის სასარგებლოდ მოეხდინოს განკარგულება. ჩვენც წილი გვაქვს, ჩვენც! დაიკარგოს მანდედან, თორემ იქნება ზედ ცხვრებზე დავანთხევინოთ ტვინიო.

ჰაჰაჰა! ვიცი, კარგად ვიცი ძალიან, რასაც ბჭობენ, რასაც ფიქრობენ,!.. ეს ხომ ჩემი ამაგია; უნდა ჩემი ამაგით დაძღნენ, დატყვრნენ, მაინცდამაინც ისევ მე უნდა მწყევლონ და მაგინონ... აბა, უკქარეთ თუ ერთი, ერთად-ერთიც არის, მოვიდეს და გამარჯვება მომილოცოს, მითხრას: გაუმარჯოს მაღლიანს, სახელოვანს ყორანს, თავის ოფლით და ამაგით თავისა და ქვეყნის მარჩენალს. არა, არა! არ იტყვიან, რადგან ვეჯავრები. შეიჯავროს ისინი ღმერთმა! გაუწყრეს სამი სამება იმათ და ერთი არსება!..

გასწყდით, გათავდით, გრისხავდეთ ღმერთი მაღალი, რადგან არ მემართლებით.. უსამართლოდ გეჯავრებით, უსაფუძვლოდ გეზიზღებით... ჩემის ყოფა-ქცევის გამო არ ვიწვევ იმათ ზიზღს?.. აი ჩემი ყოფა-ქცევის ნაყოფი!.. მაშ ნუ სჭამენ, იქვე წვიდნენ, საიდანაც მოსულან... რას იტანჯებიან? რა თვალებს აცეცებენ და ნისკარტებს ილესენ? გასწით, წადით, თუ ნამუსიანი და სათნოიანი ბიჭები ხართ!?

ჰა! რას წავლენ, რა შვილები? ჩემს მოქმედებას სწყევლიან, ხოლო ამ ჩემი, ვითომდა, უმსგავსი ქცევის ნაყოფს წარბ შეუხრელად, არც კი წითლდებიან, ისე გმულობენ!.. გიცნობთ, რაც შვილები ბრძანდებით!.. ადამიანებს ხომ უმეტესად ვეჯავრები.

სოფლის თავზე ისე ვერ გადავივლია, რომ ყველამ მე არ მომაპყროს თვალი: „ყორანი, ყორანიო!“ შეუდგებათ ერთი ჩურჩული, მითქმამოთქმა.

თუ ლეშის სუნი მეცა, მე ხომ მის სუნზე მეტის-მეტად მოუთმენარი გუნებისა ვარ და არ შემიძლიან არ დავიყრანტალო. უნდა ჰნახოთ, რა „ვაი და ვუი“ შეუდგებათ. „ყორანმა დაგვჩხავლა, დაგვჩხავლაო“, ყვირიან. „ეგ არის დავიღუპეთო“. რამდენჯერ შევსწრებივარ, მაღლიდან თვალი მიდევნებია, რომ გაჯავრებული ერთი კაცი მეორეზე იწევდეს და აყვედრიდეს: „ყორანი ხარ, ყორანი, გამიშვით მოვკლაო!“

აი, რა ამბავია ჩემს თავსა. ბედია, დაბადების დღეა!..

დიაღ, თუ თითო ნაჭრობით არ გავზიდე სადმე და არ მოვაფარე, ხვალ და ხვალზეგით შიმშილი მომკლავს.

ყორანი დაეძებდა ხორცის ისეთს ნაჭერს, რომ მოჰრევოდა, გაეთრია და სადმე კლდეში ან ტყეში დაემალა, მაგრამ ვერ შეხვდა. თანაც კარგი ნაჭერი უნდოდა...

ამ დროს ხანხალით, ფრატუნით, თანაც „ყვაო-ყვაო“ ძახილით ყვავი მოფრინდა. ყორნის შორი ახლოს ერთ ცხვარს დააჯდა და ჯიჯგნა დაუწყო. ყორანს ხმაც არ გასცა, ზედაც არ შეხედა,.. „ეი, შე აბუეტო, შე ჩურჩუტო, გამოტვინებულო, სადა ხარ? ვის სუფრაზე, მობძანებულხარ მაგრე თამამად, დაუკითხავად? ვითომ კითხვადაც აღარა ღირს, რადა?—უთხრა მას შეტევით ყორანმა. ყვავმა ყურიც კი არ გაიბერტყა.

„არ გესმის, შენ გელაპარაკები, შენ, ეი, ქეციანო? ვის სუფრაზე მოსდიხარ მეთქი დაუკითხავად? შეუტია კვალად ყორანმა.

— რა გღრიალებს? რას მიყვირი, რო მიყვირი? როგორ თუ ვისზე? ეს სუფრა ჯერ ღვთისაა, მერე მწყემსისა, აგერ ზევით, ფარეხთან დაჭრილი სულთ-მაბრძოლი რომ წევს. და მერე მგლისა. შენ ვინა ხარ? შენ ისეთივე ნება გაქვს ამ სუფრაზე ჯდომისა, როგორც მე. მიუგო ყვავმა და არხეინად განაგრძო ლეშის ჯიჯგნა. მართალია!.. სწორეს ამბობ!“ დაიქუხა ერთხმად აქეთ-იქიდან ფრინველთა გუნდმა: „ეგ წუწკდილი მაშ ჩვენც მაგ პასუხით უნდა დაგვიხვდეს?!“

ყორანი აენთო. სიმწარისაგან აღარ იცოდა, რა ექნა. მისი ჯოჯოხეთის მსგავსი თვალები საშინლად ბრიალებდა. ყორანს უნდოდა მიჰვარდნოდა და ყვავი გაეგლიჯა.

„ჰი, შე უმადურო შენა, უთხრა მას ყორანმა: „მაშ ვისი ამაგია? ვინ მოიქცა დროზე, გარემოების შესაფერად? ვინ გამოიჩინა უნარი და მოხერხება, მე თუ თქვენ? იცი, რეგვენო, საით, ცხრა მთას იქით გადავფრინდი და გამოვუძღვე, მოვიყვანე მგელი და, რაკი ვიცოდი, მწყემსი დაჭრილი იყო, ცხვრის ფარა უპატრონო, თავგანებებული, მივუსიე მას და გავიმართეთ მშვენიერი სადილი?!. განა ახი არ არის თავი ქვაზე გინაყო და ამოგხადო ეგ ბოროტი, უმადური სული?!—უთხრა ყორანმა, მთელის ტანით ათრთოლებულმა.—ბოროტი სული რომ არ იყო, ამდენ ცხვარს გააქლეტინებდი მგელს? ახლა [illegible] —ამბობდა ყვავი გაბედულად.

„[illegible]? სთქვა ყორანმა. „განა ამისთანა [illegible] მეკადრება? და მიიწია ყვავის მოსაკლავად. [illegible]

„ხელი, ხელი გაუშვი, თორემ ვაი, შენს ტყავს!“ დაიქუხა კვალად ფრინველთა გუნდმა [illegible]

„—მოჰკლა კაცი მაგ ულმერთომ, მოჰკლა! [illegible]

— დაჰკარით [illegible]

მეორე დღეს ფრინველნი [illegible]

წამოდგა წინ ერთი [illegible] და დაიყვირა: „[illegible]!“

— [illegible]

იმანაც განაგრძო: [illegible]

სამართველო ჯამაგირების მომატებაზე უარს ამბობს და განზრახვა აქვს მოსამსახურეთა ახალი შტატი შეადგინოს.

◆ „ჩრნ. ვესტ“. შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: სენაკის მაზრაში, აბაშის საბოქაულოში, ამას წინად სადღაც დაიკარგა ერთი დიაკვანი გვარად ცინცაია. დაკარგულს ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვნეს, ბოლოს ტყეში ნახეს ერთი საფლავი, რომელშიაც დამარხული იყო ცინცაია, რამდენიმე ტყვით მოკლული. შეიყარა რამდენიმე ათასი კაცი და მკვლელის აღმოჩენას შეუდგა. მაშინ გამოვიდა ერთი კაცი და განაცხადა ცინცაია ჯაშუში იყო და მე მოვკალიო, ამით საზოგადოებას ერთი მავნე კაცი მოვაშორეო. ხალხმა ამ საგანზე მსჯელობა იქონია და დაადგინა, რადგანაც მკვლელმა მკვლელობა თავის ნებით ჩაიდინა დაპატიმრებულ იქმნას თავის სახლში სამის თვით, ფეხებში ბორკილებ-გაყრილიო.

◆ გუშინ-წინ, 12 ოქტომბერს, მუხაზირში ვიღაც უცნობებს გაუტეხიათ გ. ს. ნავტიკოვის მაღაზია და წაუღიათ: 500 მანათის ნივთები, 300 მანათი ფულად და 400 მანათის ვექსილი.

◆ გუშინ წინ, 12 ოქტომბერს, ბაქოდან ჩამოსულმა ხ გაზარკემა ერთ ქალს გამოჰგლიჯა რედიკული, რომელშიაც 180 მანათი ჰქონდა, და გაიქცა. პოლიცია დაედევნა და ჯიბგირი შეიპყრო.

◆ გუშინ, 13 ოქტომბერს, კუკიის სამისიონერო სამკითხველოში შესდგა კრება ტფილისის ეკლესიებში ქადაგებების მოწესრიგების შესახებ. კრებას დაესწრო საქართველოს ეგზარხოსი და ეპისკოპოსები ექვთიმე და გიორგი. ქართველ სამღვდელოებიდან არც ერთი კაცი არ დასწრებია.

◆ ხელოსანთა მოურავმა წარუდგინა გუბერნატორს მოხსენება შესავალ-გასავლის წიგნების რევიზიის შესახებ.

◆ რკინის გზის გამგეობის ნავთის გამცემ ნაწილის უფროსად დროებით დაინიშნა ტაგის უფროსი პარტენბერგი.

◆ ამ თვის 12-იდან ვიდრე 15 ნოემბრამდე ტფილისის გუბერნიაში მიწების გასამიჯნავად და გამიჯნულ მიწათა სარევიზიოდ იგზავნება სამოსამართლო პალატის ინჟინერ-ტოპოგრაფი სოკოლსკი.

◆ გაზეთი „ჩრნ. ვესტ.“ სიტყვით, ერთ მაღაზიაში შესულა აქციზის მოხელე ნიკიტინი და არყის გაჭრობისთვის ოქმი შეუდგენია. მაღაზიაში ყოფილა, არი გარეშე კაცი, ხახატურიანცი და მინასიანცი, რომელთაც დაუწყიათ თხოვნა ნიკიტინისთვის, ოქმი დახიეო. ნიკიტინს უარი უთქვამს. მაშინ ხახატურიანცს რევოლვერი უსვრია და ნიკიტინი შუბლში მძიმედ დაუჭრია.

◆ ეს მესამე კვირაა, უგზო-უკვლოდ დაკარგულა გ. თრჯანიკიძის შვილი კონსტანტინე.

ქუთაისის ცხოვრება

ქალაქის მოურავმა დ. ა. ლორთქიფანიძემ შემდეგი შინაარსის სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწეს პროფესორს მანუილოვს: „ნება მიბოძეთ ქუთაისის ქალაქის მცხოვრებლების სახელით და პირადათ ჩემი მხრითაც გამოვუცხადო ღრმა მწუხარების გრძნობანი მოსკოვის უნივერსიტეტსა და მთელი რუსეთის ხალხს, რომელთაც მოულოდნელად დაჰკარგეს სახელოვანი, საზოგადო მოღვაწე, მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორი, თავადი ტრუბეცკოი. ასეთის გამოჩენილის კაცის დაკარგვა საზოგადოებრივ ცხოვრების ახალგვარ პირობებში ხალხისათვის უდიდეს უბედურებად ჩაითვლება; მით უმეტესად, საზოგადო და სახელმწიფო წესწყობილების განახლების ეპოქაში, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, რომლის ორგანიზაციაში განსვენებული ცხოველს და ენერგიულ მონაწილეობას იღებდა,—მისი სიკვდილი დიდი დასაღონია. იმედი უნდა გვქონდეს, რომ ჩვენი მოწინავე საზოგადო მოღვაწენი, განსვენებულის ხსოვნის პატივსაცემათ, გამოიჩენენ არაჩვეულებრივს ენერგიას, რომ განახორციელონ ის იდეები, რომელთა ცხოვრებაში გატარება შეადგენდა განსვენებულის სიცოცხლის მიზანს“.

◆ 22 ოქტომბერს ქალაქის საკრებულოს დარბაზში გაიმართება საცეკვაო საღამო საკონცერტო განყოფილებით. ვინც გაბრიელის ხსოვნას პატივსა სცემს და ვინც იცის, რა გაჭირვებულს მდგომარეობაშია მის სახსოვრად დაარსებული წიგნთსაცავ-სამკითხველო, დარწმუნებული ვართ, საღამოს არ დააკლდება და მით ხელს შეუწყობს სამკითხველოს მდგომარეობის გაუმჯობესებას.

◆ საქალაქო პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებლებმა, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, პროტესტი გამოუცხადეს ქალაქის სასკოლო კომისიის დადგენილებას შესახებ იმისა, რომ მასწავლებლებმა ქალებმა ან გათხოვებაზე უნდა აიღონ ხელი, ან და—თუ გათხოვებას მოისურვებენ, მასწავლებლობას უნდა გამოეთხოვონ. ამ დადგენილების ძალით დათხოვნილ იქმნა ერთი მასწავლებელი ქალი. სასკოლო კომისიამ მასწავლებლების თხოვნით ხსენებულ დადგენილების ხელმეორედ განსასინჯავად დანიშნა ახალი სხდომა, რომელზედაც საქალაქო სკოლების მასწავლებელნიც იყვნენ მოწვეულნი, საკამათო ხმის უფლებით. სხდომაზე ბევრი ილაპარაკეს კომისიის წევრებმა, რომელნიც მედგრად იცავდნენ თავის პირველ დადგენილებას. მასწავლებელთა მხრით მხოლოდ ერთმა კაცმა ილაპარაკა, რომელმაც ბევრი ამტკიცა კომისიის დადგენილების უსაფუძვლობა; თავის აზრის დასამტკიცებლად ბევრის ცნობილ პედაგოგების, როგორც, მაგალითად, პესტალოცის, დისტერვეგისა და სხ. აზრიც წამოიშველია, მაგრამ ერთმა კაცმა საქმეს მაინც ვერაფერი უშველა მისი ამხანაგები კი იჯდნენ და სდუმდნენ მჭევრმეტყველურად, მაგრამ, ბევრიც რომ ელაპარაკნათ, მაინც ვერას გახდებოდნენ, რადგან გადამწყვეტი ხმის უფლება არ ჰქონდათ. თუმცა კომისიის დადგენილება დათხოვნილ მასწავლებლის შესახებ უცვლელად დარჩა, მაგრამ პრინციპიალური დადგენილება შესახებ იმისა, რომ საზოგადოთ გათხოვებისთანავე მასწავლებელს თავი დაანებებინოს მასწავლებლობისათვის, შეცვლილ იქმნა. უკეთ ასეთ შემთხვევისთვის კომისიას ცალკე უნდა ჰქონდეს მსჯელობა მასწავლებლის დათხოვნის თუ დატოვების შესახებ. ესეც ერთი ნაბიჯია წინ მასწავლებლების მხრით.

იხარა.

სასამართლო

სიკვდილით დასჯა.

ამ დღეებში კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე ტფილისის მაზრის სოფელ კუმისის მცხოვრების დავით სუკიასოვისა, რომელსაც ბათუმში უბნის ზედამხედველის პეტრე პაცანის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა. ბრალდების მხრით მოწმეებად მოიწვიეს პოლიციის ზედამხედველნი პაცანი, ავალიშვილი და კიდევ ორი კაცი. პაცანი საქმის გარჩევას არ დაესწრო.

ამ წლის 13 მაისს, ღამე ბათუმში ორმა უცნობმა უბნის ზედამხედველს პაცანს რამდენჯერმე რევოლვერი ესროლეს და გაიქცნენ. საქმის გამომძიებელს პაცანმა უამბო, რომ 13 მაისს ღამე 10—15 ნაბიჯზე უკანიდან რევოლვერი ესროლეს. ტყვია იმის ჩექმის ქუსლს მოხვდა, მაგრამ არაფერი დაუშავა. უკან რომ მოიხედა, ორი უცნობი დაინახა, რომელნიც ოლგის ქუჩისკენ გაიქცნენ. პაცანი გამოედევნა და ორჯერ დასცალა რევოლვერი ჰაერში. უცნობნიც ისროდნენ, მერე კი სიბნელეში მიიმალნენ. გზაზე ერთმა მათგანმა ქუდი დაკარგა, რომელიც პაცანმა აიღო. 18 მაისს საპოლიციო უბნის ზედამხედველმა სადგურზე ვინმე დავით სუკიასოვი დაიჭირა. პაცანმა ნახა სუკიასოვი და იცნო: სუკიასოვი ერთი იმ უცნობთაგანი იყო, რომელთაც მისი მოკვლა უნდოდათ 13 მაისს. ავალიშვილმა პაცანის მიერ ნაპოვნი ქუდი ნახა და სთქვა, ეგ ქუდი სუკიასოვს ეკუთვნისო. პაცანმა განაცხადა, სუკიასოვმა იმიტომ მოინდომა ჩემი მოკვლა, რომ მოსყიდული იქნებოდა, ან სხვა ვინმე ჩააგონებდა. პაცანმა გამომძიებელს ხელმოუწერელი ქართული წერილი წარუდგინა და განაცხადა, ეს წერილი ჩემი სახლის ეზოში ვიპოვე 13 მაისის შემდეგ. პაცანს სწერდნენ, თუ პოლიციელობაზე ხელს არ აიღებთ, მოგკლავთო.

უბნის ზედამხედველმა განაცხადა: ნახა თუ არა პაცანმა სუკიასოვი, მაშინვე გადაჭრით სთქვა, სწორედ მაგან მესროლა რევოლვერიო. პაცანმა ნაპოვნი ქუდი აჩვენა ავალიშვილს, რომელმაც მაშინვე იცნო და სთქვა, ეგ ქუდი სუკიასოვისაა; ტფილისში უქმე დღეობით სუკიასოვი სწორედ მაგისთანა ქუდს ატარებდა. ახალი ქუდი, რომელიც პაცანმა იპოვნა და ძველი, რომელიც სუკიასოვს ეხურა, ერთმანეთს შეადარეს და აღმოჩნდა, რომ ორივენი ერთმანეთს ჰგვანან.

სუკიასოვმა უარი სთქვა ბრალდებაზე და განაცხადა: როცა მე და პაცანი პირისპირ დაგვაყენეს, პაცანმა მაშინვე კი არ მიცნო, არამედ დიდ ხანს მიჩხერდა და მხოლოდ მერე განაცხადა, მაგან მესროლა რევოლვერიო. ახალ ქუდზე სუკიასოვმა უარი სთქვა, ეგ ქუდი ჩემი არ არისო.

სასამართლოში **სუკიასოვმა** თავის პირვანდელი ჩვენება გაიმეორა.

მოწმეებმა ფიცი მიიღეს. მოწმემ **ავალიშვილმა** თავის პირვანდელი ჩვენება გაიმეორა.

ორ მოწმეს სუკიასოვის ქუდის შესახებ ჩვენება ჩამოართვეს. ამ მოწმეებმა სთქვეს, ქუდები ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ ახალი ქუდიც სუკიასოვისა იყოსო.

ბრალმდებელმა პოლკოვნიკმა სიმაშკომ სთქვა, საპოლიციო უბნის ზედამხედველთა—ავალიშვილისა და პაცანის ჩვენებით მტკიცდება, რომ სუკიასოვი დამნაშავეა, ამიტომ იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოსო.

დამცველმა, **პორუჩიკმა ფომინმა** სთქვა: „სუკიასოვს დანაშაულს იმით უმტკიცებენ, რომ, ჯერ ერთი, პაცანმა იცნო ის, მეორე—ის ქუდი, რომელიც პაცანმა იპოვნა ღამე, სუკიასოვისაა. საქმის წარმოება კანონიერად არ მიდიოდა. დაპატიმრებული სუკიასოვი პაცანს მარტო აჩვენეს და არა რამდენიმე კაცში არეული; ამ დროს იქ არავინ დასწრებია, არც გარეშე ვინმე და არც გამომძიებელი. ავალიშვილი ამტკიცებს, ის ქუდი, რომელიც პაცანმა იპოვნა, სუკიასოვს ეხურა ხოლმე კვირა-უქმეობით ტფილისში (საოცარი მეხსიერება ჰქონია ავალიშვილს!). ესეც რომ არ იყოს, ყურადღება მიაქციეთ შემდეგ ამბავს: პაცანი არც იცნობდა სუკიასოვს და არც უნახავს როდისმე; რევოლვერი ესროლეს უკანიდან, ღამის ათი საათზე, სიბნელეში, 15 ნაბიჯის მანძილიდან; მაშასადამე, ცხადია, რომ პაცანი ვერც დაინახავდა მსროლელს და, რომ დაენახა კიდევაც, ერთ თვალის გადავლებით ვერ დაიხსომებდა. 16 მაისს პაცანმა ოქმი შეადგინა და ჩასწერა, უცნობი შუა ტანისააო, 19 მაისს შედგენილ ოქმში კი სწერია, დაბალი ტანისააო. რისგან მოხდა ეს ამბავი? იმიტომ, რომ წინა დღეს, 18 მაისს პაცანმა სუკიასოვი სადგურზე ნახა და მეორე დღეს შეცდომა შეასწორა.

ყურადღება მიაქციეთ იმასაც, რომ მარტო ავალიშვილი ამტკიცებს, რომ ქუდი სუკიასოვს ეკუთვნისო. საკვირველია ავალიშვილის მეხსიერება. ამას ისიც კი მშვენივრად ახსოვს, რომ ესა და ეს კაცი კვირა-უქმეობით ამისთანა ქუდს იხურავსო, სამუშაოდ კი ამისთანა ქუდით მიდისო! მაგრამ ეს არაფერი: 19 მაისს ავალიშვილმა გამომძიებელთან იცნო ის ქუდი, რომელიც წინა დღით სადგურზე აჩვენა მას პაცანმა! გარდა ამისა, ავალიშვილი ხან იმას აცხადებს, ეს ქუდი იმ ქუდს ჰგავსო, ხან ამბობს, იმის მაგვარიაო, მაგრამ იმას კი არ ამბობს, ეს სწორედ ის ქუდია, რომელსაც სუკიასოვი კვირაობით ატარებდა ხოლმე. ამისთანა ქუდებს ათასობით აკეთებენ, ათასობით ატარებენ და განა შესაძლებელია, რომ კაცმა დაიხსომოს, ეს ქუდი ამა და ამ კაცს ეკუთვნისო? მერე ახლოდან მაინც გაესინჯა როდისმე ეს ქუდი ავალიშვილს? ამბობენ, ახალი და ძველი ქუდი ტოლები არიანო. ერთი გადით ტალანში და დარწმუნდებით, რომ თქვენ თვითონვე გაგიჭირდებათ თქვენი ქუდის პოვნა, თუ, რასაკვირველია, წინდაწინვე დანიშნულ ადგილზე არ ჰკიდია. ამისთანა საბუთებით აღჭურვილი ბრალმდებელი სუკიასოვის ჩამოხრჩობას თხოულობს.

დამცველმა სუკიასოვის გამართლება მოითხოვა.

მოსამართლეებმა, ხანმოკლე თათბირის შემდეგ, სუკიასოვს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს. სუკიასოვმა ეს დადგენილება მთავარ სამხედრო სასამართლოში განასაჩივრა.

ყუმბარები ტფილისში.

გუშინ, 13 ღვინობისთვეს, ტფილისის სამხედრო საოლქო სასამართლოში დანიშნული იყო გასარჩევად საქმე ავაქ არუშანოვისა, რომელსაც ბრალდება 25 წარსულ ენკენისთვეს ყუმბარის სროლა ვორონცოვის ქუჩაზე, ორთაჭალაში.

როგორც მკითხველებმა იციან, ამ ყუმბარამ რამდენიმე კაზაკი და რამდენიმე უცხო პირი იმსხვერპლა.

თავმჯდომარის განკარგულებით, დარბაზში არავინ შეუშვეს. სწორედ 10 საათს და 15 წუთზე სალდათებმა შემოიყვანეს სასამართლოს დარბაზში ტუსაღი არუშანოვი, რომელიც ძალიან დაღონებულია.

დარბაზში შემოვიდნენ მოხუცებული მშობლები ტუსაღისა.

თავმჯდომარე—ბრალდებულო! თქვენ ვინა ხართ?

ბრალდებული—(სომხურად უპასუხებს) მე ვარ ტფილისელი, ავაქ ბუღდანის ძე არუშანოვი. საბრალდებულო ოქმი მიღებული მაქვს!

დარბაზში შემოიყვანეს დაბარებული მოწმეები, რადგანაც მოწმეთა საჭირო რიცხვი არ აღმოჩნდა, საქმის გარჩევა გადაიდო 17 ამ თვისთვის.

პასუხი.

იმ თავითვე, მესამოცე წლებში მე ვნატრობდი და ველოდი, რომ მომავალი წარმოშობდა დემოკრატიას, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, რომ იმასთანებს კი არა, როგორც დღეს ზოგიერთები არიან, მხოლოდ სიტყვით და არა საქმით, რომლებიც მხოლოდ თავისის საკუთარ კუჭზე ფიქრობენ, თავს იკატუნებენ და ქვეყანას კი ამადლიან... ეროვნობასა და წარსულს მიტომ ჰყოფენ უარს, რომ აგერ ჭადარა შემორჩებიათ, და არა თუ არა გაუკეთებიათ რა ქვეყნისათვის, ვერც კი იცნობენ და თავის გასამართლებლად ამბობენ: „ჩვენ, ისე დაწინაურებული ვართ, რომ არა გვრწამს ეროვნება... ჩვენთვის, ყველა ტომი ერთია, მხოლოდ მუშა, პროლეტარი კი იყოსო... თორემ თუ ეს არ იყოს, ჩვენს ქვეყანაში, ჩვენც გავაკეთებდით რასმეო!... მაგრამ ჩვენ დღეს ახალი პროგრამა შემოგვაქვს ცხოვრებაში და ახლა ჩვენ უნდა გვაყუროთო“.

ჩვენც ვუყურებთ და, რასა ვხედავთ?—ცარიელ სიტყვას და ფარისევლის ცრემლებს!.. იმ ზოგიერთ, ვითომ და მარქსელებს, დემოკრატობით რომ თავი მოაქვსთ, მხოლოდ იმდენად აგონდებათ ხალხი და უმცროსი ძმა, რამდენადაც ეს მათ კუჭს არგებს... მორჩა და გათავდა!.. აბა თუ მათგანს ერთს ვისმეს უსასყიდლოდ ახალი უსწავლებია ვისმესთვის? ან ერთი კალამი მოუსვამს უფულოდ?.. და ან ხალხისათვის რამე ურჩევია, რომ თავისი პირადი სარგებლობა არ ჰქონდეს იმავე დროს სახეში?

„ჩვენ გამოვაღვიძეთ ხალხი, ჩვენ შევჰქმენით დრო“ და სხვანი, რომ წარამარად გაიძახიან, ეს სულ ტყუილებაა!.. ხალხი უნდა სწორი გზით მიდიოდეს. ის, დღეს გამოღვიძებული, მხოლოდ იმას მოითხოვს, რაც კანონიერია; უსამართლობის წილ სამართალს, უკანონობის მაგიერ—კანონს. და ის ვინც ამას წინააღმდეგს ურჩევს ხალხს, ის მისი მტერია და არა მოყვარე!—ჩვენ ვიცნობთ ნამდვილ დემოკრატებს და, მადლობა ღმერთს, რომ ავისა და კარგის გარჩევა შეგვიძლია!.. დიდი პატივის მცემელი ვართ ნამდვილის და ის მოჩვენებული კი, ვერასოდეს ვერ მოიგებს ჩვენს გულს.—კრიალოსანში, რომ ხუთი ექვსი ნამდვილი მარგალიტი იყოს და დანარჩენი კი თაღლითი, მთელ აკიდოს არ ეთქმის მარგალიტის კრიალოსნობა... ისე, როგორც ზოგიერთ დღევანდელ მევარაყებს არ ეთქმით დემოკრატობა. ამას დღეს თუ ხვალ თვით ხალხიც შეიგნებს და გარჩევით მოეკიდება... ალბათ, ამისი ეშინიათ იმათაც, რომ ის ზოგიერთები, სცდილობენ, რომ ხალხის თვალში დაამცირონ და გაათახსირონ ისინი, ვისაც რამე გაუკეთებიათ.

ჩემდა სამწუხაროდ, მეც მესამოცე წლების ასაღოთახვში ვირიცხები და მიტომაც იმ ზოგიერთებს იერიში მოაქვთ ხოლმე ჩემზე!... ერთ აზნაურს ჭადარს რომ შემოეყრა, მაშინ დაუწყია ცოლმა იჭვიანობა. ქმარმა მოისვა წვერზე ხელი და სთქვა: „ამდენი ხანი ცოლთან ვცხოვრობდი, ზურგზე ვუსვამდი ხელს და თუ აქამდე ვერ მომიგია ამისი გული და სანაწვრად არის ჩემი საქმე, ანასუნ ჩემ საქმესო!“ სთქვა და გადაკარგა სათარეშო. იმისი არ იყოს, თუ ჩემი ორმოცდა ათი წლის სამსახური ისე სუსტია, რომ ერთი ტყუილი კალმის მოსმით გაგითახსირდება ხალხის თვალში, მართლაც ანასუნა ჩემ საქმეს“.

რაღა დროს თავის მართლებაა ახლა და ისეც ოდესმე წარსულით, მაგრამ მე, იმდენად პატივსა ვსცემ ხალხს, რომ იმ ზოგიერთების სახელისა და სამედიატორო საქმეშიაც გავყვებოდი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ იმათაც კარგად ესმისთ თავის მოკატუნება და ხრიკები და სცდილობენ, მაინც სცდილობენ: ეგებათ რამეს გავხდეთ, დავაჭკნოთ ვინმეო!..

ერთხელ კრებას ვურჩიე დედათა სკოლის დაარსება და მივუთითე ძველ დედებზე; სხვათა შორის სამაგალითოდ მოვახსენე ნინო, ქეთევან და თამარი. „ზოგიერთები“, ამას რომ ეგრე მოჰკვრეს, შეჰხტნენ და შეიზიადნენ: ჩვენ არა გვწამს ეროვნება!.. ჩვენთვის ყველა ტომი ერთია... ნაცია რა საჭიროა?.. ჩვენ დღეს ვსცდილობთ, რომ, რაც წინანდელებმა პატრიოტული გრძნობა ჩაუნერგა ხალხს, ის შეცდომა ამოვფხვრათ და ეს კი რას ამბობს? ნინოთ, ქეთევანით, თამარით და მეფე დედებით, რა გაუკეთეს ხალხსო და სხვანიო. რასაკვირველია, ვისაც ნაცია არა სწამს, ხალხი არაფრად მიაჩნია და მისი გრძნობა-გონება მხოლოდ საზოგადო პროლეტარიატობაზე შეკრებულა, მისგან ეს ყოველიფერი მოსალოდნელი იყო, მაგრამ საქმე ის იყო, რომ გულში ნადები ვეღარ გამოამჟღავნეს და რადგანაც არც თავის რწმენის გამომჟღავნება უნდოდათ, ცილი შემომწამეს: ვითომც მე დღევანდელი სწავლა, თვით ევროპიულიც, არაფრად მიმაჩნდეს, დღევანდელ ქალებს არ ვუფასებდე, წარსული საუკუნოები მერჩიოს დღევანდელ საუკუნეს და ქვეყანასაც ვურჩევდე, რომ რაც ძველმა დედებმა იცოდნენ, იმაზე მეტს ნურას ასწავლიან დღევანდელ ქალებსაც და სხვანი...

ნუ თუ ასე სუსტი ს ჭკუისანი არიან ის ზოგიერთები, რომ ნათქვამი ვერ გაიგეს? რა ბრძანებაა?!. მხოლოდ განძრახვით გადაამახინჯეს და ჩემ მაგიერ თავისი სთქვეს, რომ სხვები დაგვიჯერებენო და მეც რაღა მეთქმოდა? მხოლოდ გამეცინა და გავჩუმდი. მეორე შემთხვევა: როდესაც ჩემ სახელობაზე ფონდი შეადგინეს, მაშინ, სხვათა შორის ხარბინიდან ქართველებმაც შემოსწირეს და მათ რიცხვში ზოგიერთმა ჩინელებმაც.

მე მადლობა გადავუხადე და, სხვათა შორის, ვსთქვი: „მე ჩინელები არ მეცნობიან, მაგრამ ალბათ ჩემი მოძმე ქართველებისაგან გაუგონიათ რამ ჩემზე და სხვანი“. ეს უბრალო რამ ეგლად დაესოთ ზოგიერთებს და ერთი ყოფა დასწიეს?.. ღმერთო ჩემო, რა არა სთქვეს?!. მე კი, რადგანაც მესმოდა მათი გულის პასუხი, გავჩუმდი. მესამე ბ. ნ. თავართქილაძემ, ერთმა ხარბინში სამყოფთაგანმა, უსაყვედურა მათ და მათაც ბოდიშის მოხდის ნაცვლად, ხელმეორედ დამცეს კიჟინა. სხვათა შორის თამამად ამტკიცებდნენ, რომ აკაკის ქართველები სძულს, უმადურია, მადლობას ჩინელებს უგზავნის და მათ კი არაო!.. მე აქაც გავჩუმდი, ხმა არ ამოვიღე, იმიტომ რომ განძრახულ ჭორს რაღა ეთქმის? მაგრამ, როგორც სჩანს, თვითონ იმათ კი სულ სხვა ნაირად მიიღეს: იმათ ეგონათ, რომ მე სათქმელი აღარა მქონდა-რა და ისე გათამამდნენ, რომ მათის აზრით უფსკრულის კარამდი მიყვანილს, თვით უფსკრულშიაც გადაგდება მოინდომეს. აა, რა დაუსტამბავთ „მოგზაურის“ № 33-ში: „როგორც გამოძიებამ დაგვანახვა თორმეტ თუმნად აკაკის მიუყიდნია კიკო ტუკუტიშვილისათვის სანადელო მიწა გუგუნა ნინია ძის კაპანაძისა სახელწოდებული „დუბელა“ სოფ. კორბოულში, ახლა ვეკითხებით აკაკის თუ რა პასუხს მოგვცემს ან ერთსა და ან მეორესო“. ეს ბავშვობაც სასაცილოა, რომ იმავე დროს სამწუხარო არ იყოს!.. გაზეთის სიტყვა ბევრს სახარება ჰგონია და მეც ზოგიერთები გაოცებით მეკითხებიან: ეს რა შეცდომა მოგსვლიაო!.. იმათ დასამშვიდებლად მე უნდა ვსთქვა ის, რის თქმასაც საჭიროდ არა ვრაცხდი.

პატრონ-ყმობა რომ გადავარდა, მაშინ გლეხს მიენიჭა სანადელოდ ოთხი ქცევა და ზედ-მეტი კი რაც ჰქონდათ ჩამოეჭრათ და დარჩა პატრონის საკუთრებად. ამით ყველამ ისარგებლეს და ჩამოჭრილი წაიღეს. მამაჩემმა კი, ჩემისავე რჩევით, ძმების მაგალითად ზედმეტიც, ესე იგი ჩამონაჭრებიც, გლეხებსვე მისცა დასამუშავებლად და ჩაუწერა უსტავნი გრამატაში. ასე რომ ოთხი ქცევის ნაცვლად ზოგიერთ გლეხს მიეცა 20—30 ქცევაზე მეტი. როდესაც მამაჩემი მოკვდა, მისი დარჩენილი ყოფა-ცხოვრება უნდა გაეყოფილიყო ორად, ჩვენს ორ ძმას-შუა; ნახევარი ჩემ ძმას ერგებოდა და ნახევარიც მე.

მე ჩემი ნახევარი გადავეცი დედას, რომელმაც სიკვდილის შემდეგ უანდერძა ჩემს შვილს, ასე რომ მამა-პაპის მემკვიდრეობიდან არც გლეხები სდომე და არც ერთი ტკაველი მიწა არა მრგებია. და რაც არა მრგებია, მისი ან გაყიდვა და ან დაკარგვა როგორ მოხერხდებოდა? ჩემმა შვილმა, ჯერ თავისი ვექილი გაგზავნა ვიღაც სტილავიჩი, რომელმაც ძალიან გაათხრა შამული და მის შემდეგ კი მე მთხოვა, რომ ყური მეგდო მისი მემკვიდრეობისათვის. მე მის გლეხებში გამგელიც არა ვარ. ჩემის მხრით ამოვარჩიე გლეხებისაგან ხელოსნები და იმათ მივანდე, დავავალე კი, რომ დროებით-ვალდებული გლეხები არ შეეწუხებინათ და ჩამოჭრილ ადგილებიდან მეოთხედი ის მიეღოთ, რასაც მიუტანდნენ. მართლაც მეოთხედის მაგიერ ზოგს მეოცედი მოჰქონდა და ზოგს ვინ იცის კიდევ რამდენი? ზოგს დღემდისაც არა მიუტანია რა, მაგრამ არც მათი მეპატრონე—და არც ვექილები, ხმას არ იღებდენ. ამას დაამტკიცებენ შუამავლები. ამ გლეხების რიცხვში იყო, ის ზემოხსენებული კაპანაძეც, რომელსაც ოთხ-ძირეულ ნადელს გარდა ოცდა-ათ ქცევაზე მეტი ეჭირა ხელში ჩამოჭრილებიანათ და არც ერთიდან არას იძლეოდა: ხანდახან, ათასში ერთხელ, რომ ავლიოდი ხოლმე ჩემ სახლში, ეს კაპანაძეც ჩამოდიოდა ხოლმე ჩემთან ფეხშიშველა, დაგლეჯილის ტანისამოსით, პირიქით სამოწყალო და მე რაღა ნადელს მოვსთხოვდი?, ბოლოს, როგორც გლეხებმა შემატყობინეს, ეს ეშმაკი კაცი თავისს პატრონზედაც და მის ვექილზედაც უფრო მდიდარი ყოფილა და მხოლოდ მე შევუყვანე შეცდომაში თავის მოკატუნებით. გამოდგა რომ ჩამონაჭერი ადგილები ზოგი გაეყიდა, ზოგი დაეგირავებია და ზოგიც სანადელოდ გაეცა პატრონის დაუკითხავად. მათ რიცხვში იყო მოყოლილი ის ადგილიც, დუბელა თუ დარდუბელა, რომელიც თვალით არ მინახავს და არც ვიცი, რამდენი ქცევა იყო და მხოლოდ იმავე გლეხის შეხვეწნით გადავეცი კ. ტუკუტიშვილს და გამოვართვი მეც ზედმეტად თორმეტი თუმანი. ცხადია, რომ აქ ზარალშია ადგილის პატრონი და არა გლეხი, რომელიც მამინდელ მეხედულებით (ეს დიდი ხნის ამბავია) სხვის საკუთრებას—ჰყიდდა.

მე „მოგზაურთან“ საქმე არა მაქვს, მაგრამ თუ რომელიმე სხვა გაზეთი იჭვს შეიტანს ამაზე, რასაც ვამბობ, მე დიდის სიამოვნებით გავყვები, რა სამართალშიაც კი უნდათ, ხანსაც ვაძლევ, რომ გამოიძიოს, მართალს ვამბობ თუ არა?

ნახოს ქუთაისის ოლქის სასამართლოში განჩინება გაყოფილებაზე, აგრეთვე დედი ჩემის ანდერძი. გამოჰკითხოს მომრიგებელ შუამავლებს, მოსამართლეებს და ჩემგან დაყენებულ ხელოსნებსაც და, თუ ამათ არ დაუჯერებს, საზოგადოდ გლეხებსაც.

აკაკი.

—:—

რუსეთი

20 სექტემბერს ვლადიმირში **კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ პარტიის კრება** დასრულდა. კრებას მიზნად ჩრდილოეთ რუსეთის გუბერნიათა საოლქო კრების მომზადება ჰქონდა. კრებას დაესწრნენ გლეხებისა, მუშებისა, ერობისა და მრეწველთა წარმომადგენელნი. აგრარიულ საკითხის შესახებ კრებამ მიწის ნაციონალიზაცია გადასწყვიტა. სხვა საკითხების შესახებ კრებამ მიიღო „ოსვობოჟდენიეს“ კავშირის პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო სათათბიროშიაც დაიცავს. საარჩევნო აგიტაციების მოწყობა მიენდო განსაკუთრებით ამისთვის არჩეულ კომიტეტს, რომელიც მთელ ჩრდილო რუსეთს უნდა განაგებდეს. კრებამ გადასწყვიტა ყოველნაირი დახმარება აღმოუჩინოს გლეხთა კავშირს, რომელსაც, როგორცა სჩანს, მომავალ არჩევნებში სახელმწიფო სათათბიროში დიდი მნიშვნელობა ექნება (პ.)

◆ სოფელ კამენეცის (სუჯის მახლობლად) გლეხებმა გადასწყვიტეს, არჩევნების დროს, **მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ ადმინისტრაციას**, რომელიც, უეჭველია, გლეხებს ძალას დაატანს არჩევნების დროს. სახელმწიფო სათათბიროს, კრების დადგენილებით, უნდა მიენიჭოს საკანონმდებლო უფლება და არა მარტოოდენ რჩევისა (პ.).

◆ რეველში **საარჩევნო აგიტაცია** უკვე დაწყებულია. აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდი ძალა გერმანელებს აქვთ, რომელთაც მხარი მისცეს ებრაელებმა და რუსებმა; ესტონელების პარტია სუსტია. გერმანელები თავის მხრით დეპუტატად ასახელებენ თავად-აზნაურთა წინამძღოლს ბარონ ბუდბერგს, ბარონ შილინგსა და სახელმწიფო ბანკის გამგეს ბეზობრაზოვს; ესტონელები ასახელებენ ქალაქის მოურავის თანაშემწეს პიატს (პ.).

◆ ნიჟნი-ნოვგოროდის კლუბის წევრთა კრებას პოლიციამ სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების შესახებ **ლაპარაკი აკრძალა** (პ.).

◆ შინაგან საქმეთა მინისტრმა ყირიმის მასწავლებელთა ურთიერთ-დამხმარე **საზოგადოება მოსპო** (პ.).

◆ ჰელსინგფორსში გაირჩა საქმე გაზეთ „ცუომიის“ რედაქტორისა, რომელმაც ზემოხსენებულ გაზეთში დაბეჭდა ცნობა, ვითომ ვიბორგის საპყრობილეში პოლიციამ ჟანდარმთა პოლკოვნიკის კრამარენკოს მკვლელი [illegible] აწამა. სასამართლომ რედაქტორს 500 მან. ჯარიმა გადაუწყვიტა. ამ მოკლე ხანში სასამართლო გაარ-

---

შაგვინახეს, გვაქციეს. მაშ რაღა ვემდურით? ხალისს რად ვუკარგავთ? ხომ მერმისთვის ასე აღარ ეცდებიან?... ვგმობ თქვენსა და ჩემს დღევანდელს საქციელს და გთხოვთ, რომ თქვენც დაჰგმობთ და შემდეგში აღარ განიმეორონო“...

სვავის შემდეგ ილაპარაკა სვავზე არა ნაკლებ მხცოვანმა, პროლა ფერის ყაჯირმა. ამ უკანასკნელს პირველზე მხრები ნახევარ ადლით გრძელი ჰქონდა, სახის გამომეტყველებაც რიხიანი. ის უფრო მკვეხრად ლაპარაკობდა...

ყაჯირმა დაიწყო: „ბატონებო, ჩვენ ყორანი და მგელი იმიტომ კი არ დავსაჯეთ, ამოდონა ცხვრები რისთვის გაჰგლიჯეთო, არა. ამით ჩვენ ვაგრძნობინეთ თავს არ წაადგნენ და ყოყლოჩინობა არ დაიწყონ. ან კი რა აქვსთ, მაინცდამაინც, საყოყლოჩინო? რა დიდი შრომა და ოფლი მაგათ დაღვარეს ცხვრების დაზრდაში. ერთი აირბინეს და ჩამოირბინეს. მორჩა და გათავდა... ეს იმათი ხელობაა, ისე, როგორც ჩვენი—ჭამაა,—ჭამა მადიანი. ჩვენი ნიჭი ამით გამოიხატება, ხოლო იმათი მოსწრება—გაგლეჯით. რა არის აქ საკვირველი და სასიქადულო? არაფერი. სრულებით უბრალო მოვლენაა. ხომ ძიძეს თავიანთი გასამრჯელო? ხომ გაძღენ ისინიც, როგორც ჩვენ. მაშ სხვა რა უნდათ? ყვავიც ჩვენი ძმაა: რაო ვითომ, რომ ისეთი უკადრისი სიტყვებით მიჰმართა ყორანმა, გააბიაბრუა და თავიც გაუტეხა. გარდა ამისა ეს ადგილი და არე-მარე საერთო, საძმოა, ყველა ფრინველზე, თუ ცხოველზე—რაც აქ გაიზდება, ამ საერთო, საზოგადო მიჯნების ფარგალში. ყველა ჩვენგანს ერთნაირი თანასწორი უფლება აქვს.

არ უნდა გვეშინოდეს იმისა რად დავსაჯეთო, ვაი თუ გული გაუტყდეს, ხალისი დაეკარგოთ და ნადირობაზე ხელი აიღონო...

სულ ტყუილია: ამისთანა ომი წინადაც დაგვიწევია, მაგრამ მაგათ თავის საქციელზე ხელი არ აუღიათ. თუ მარჯვე შემთხვევა აქვთ მუდამ ამას შვრებიან, მაშასადამე ჩვენი ჯავრი კი არა აქვთ, თავის ჟინს იკლავენ, თავის თავს, ასიამოვნებენ... მაშ ასე არ არის?!

სწორეა, სწორე!... ვაშა, ვაშა!—დაიგუგუნა ერთხმად ფრინველთა გუნდმა.

ამის შემდეგ დაადგინეს, თუ ყორანი და მგელი უზრდელად არ მოიქცევიან, თავდასხმას მოერიდნენ.

განაჩენი რომ წაკითხულ იქმნა, სწორედ ამ დროს არწივმა ჩამოინავარდა, ზევით გაზეჩილ კლდეთა შუაზე გამოჩნდა. ფრინველებმა საერთოდ სალამი მისცეს. არწივმა ბოდიში გადაიხადა და თან დასცინა, „ჰკეიფობთ, რაღა, ნაოხარზე“?

— ვკეიფობთ, მაშ რა ვქნათ, ბატონო!—გაისმა ფრინველთა ხმა. „იკეიფეთ“! სთქვა არწივმა ბევრი ყური არ უგდო და კლდეებს მიეფარა.

— როგორ დაგვცინა?! სთქვა ორბმა, როცა არწივი კარგად მოჰშორდა. შენი კლანჭები მექნება, მე ვიცი, როგორც ვიკეიფებდი, მაგრამ მოდი, რა ქნას კაცმა, როცა ღმერთმა არ მომცა მეტი ბედი და იღბალი.

„ოღონდაც, ოღონდაცო!“ შეუმოწმეს ფრინველთა და აიშალნენ; დაიწყეს ჰაერში ტრიალი; ყველა ეძებდა თავის წასასვლელს გზას და ყველა თავისთვის ევედრებოდა ღმერთს, რომ ლეში არ მოეკლო მისთვის. დაიწყეს მარჯვენივ და მარცხნივ გორებში თავზე გადადენა.

საზარელი, საშინელი სუნი ტრიალებდა ჰაერში...

ყორანი სად-ღა იყო? რას აკეთებდა?—იჯდა მუხის ერთს ხმელს ტოტზე და თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. თან მუშტს იცემდა გულში: „მე მოვკვდე, თუ თქვენი ჯავრი ვჭამო! რა უბედურ დღესა ვარ გაჩენილი მე საწყალი? რამოდენა ცოდვას ვიღებ კისრად. რადა? რისთვის? რის გულისთვის?.. ვინ არის მადლობელი? რამდენჯერ გადავწყვიტე გულში, ამეღო ხელი ყორნობაზე და მეცხოვრა თავის ოფლით და შრომით, როგორც ბევრნი სხვანი ცხოვრობენ. ნუ თუ იმდენს ვერ შევიძლებდი. მუდამ დღეს ლუკმა მეშოვა? თუ კი ქეციანი ყვავი და გინგლიანი ძერა პოულობს დღის სარჩოს, მე რაღა ღმერთი გამიწყრება ვერ ვიშოვო?! მაგრამ არა და არა, არ იქნა: ვერ დავძლიე ჩემი ფიქრი, ჩემი ბუნება... არა უშავს-რა, ასე სჯობია... ეს კარგია... რამდენსა ვთხრი თვალებს, და გემრიელად ვაკნატურებ. თუ ასე არ მოვიქეცი ვინ მომცემს ცხვრისა და ცხოველების თვალებს საჭმელად?!. მხოლოდ, ეჰ, ამაგი არ მიფასდება, არავინაა ცის ქვეშ ჩემი მადლობელი... ბრაზი მაღრჩობს, ბრაზი... მინდა რომ გასწყდეს მთელი ფრინველთა სახსენებელი“... ამას რომ ამბობდა ყორანი, მაღლა გადმომავალმა სვავმა თეთრი ლაქა დაალვენთა და ჯერ ისევ სისხლიანი, მოკორტნილი თავი თეთრი ლაქით დაუბეჭდა...

აი, მისი შრომის, ამაგის დაფასება,—მისთვის მიძღვნილი სასყიდელი!

ვაჟა-ფშაველა.

ჩვეს მეორე გაზეთის რედაქტორის საქმეს. ამ გაზეთში დაიბეჭდა ერთი წერილი შემდეგის სათაურით: „საკუთარის ძალღონით"; ეს წერილი რევოლუციას ქადაგებდა (რ. ე.).

✦ გაზეთ „იუჟნი კურიერ"-ის მე-219 ნომერში დაბეჭდილია: „ამ ნომერში ცენზორმა წაშალა შემდეგი წერილები: „ხოცვა-ჟლეტა ტფილისის საბჭოს დარბაზში", ქრონიკის ნაწილი, პრესსა, სასამართლო, კორესპონდენციები და სხვა" (პ.).

✦ გაზეთ „ვესტ. ნ. ვ. ზემ."-ში ცენზორმა არ დაიბეჭდინა ერობის მოწოდება დამშეულთა სასარგებლოდ (პ.).

✦ სარატოვში საკვირაო სკოლაში, პარაკლისის გადახდის დროს ეკლესიაში ასამდე ახალგაზრდა შევიდა და **სარევოლუციო სიმღერა** დაიწყო. მღვდელმა წირვა შეაჩერა. ცოტა ხნის შემდეგ ეკლესიაში ჟანდარმები და კაზაკები შეცვივდნენ და... ხალხი გაფანტეს (პ.).

✦ ტომსკში უნივერსიტეტის ეზოში დიდი მიტინგი მოხდა. **პროკლამაციები დაარიგეს, წითელი დროშა აუშვეს და სარევოლუციო სიტყვები წარმოსთქვეს,** კაზაკებმა და ჟანდარმებმა ბევრი დააპატიმრეს (პ.).

✦ კიევში, ბლუმშტეინის ქარხნის ეზოში 40 მუშა შეიკრიბა მოსალაპარაკებლად. მალე პოლიციაც მოვიდა. შეტაკების დროს ძალიან **სცემეს ბოქაულს.** ბოლოს კაზაკები და ჟანდარმებიც მოვიდნენ და ყველანი დააპატიმრეს, დაიჭრა 5 მუშა (პ.).

✦ რიგაში პოლიციამ **პოლიტიკურ კრებას** მიუსწრო და 16 კაცი დააპატიმრა (პ.).

✦ ნეჟინში პოლიციას ერთი სახლი უნდა გაეჩხრიკა. ამ სახლში ოთხი „საეჭვო" კაცი დაბინავდა წინა დღეს. უცნობებმა ახლო არ მოუშვეს პოლიციელები და სროლა დაუწყეს. სროლის დროს, **მძიმედ დაჭრეს** ბოქაული კრემჩენოვსკი და პოლიციელი იკიმენკო. უცნობთაგან ერთი მოჰკლეს, ორი დაჭრეს. ეს ბოქაული წრეულს მეორედ დაიჭრა (პ.).

✦ ულეაბორგში (ფინლანდიაში) მივიდა 400 **სალდათი** და არტილერია (რ.).

✦ რიგაში მივიდა მე 76 საარტილერიო **ბრიგადა** (32 ზარბაზანი) და იქ დაბინავდა (პ.).

სამხედრო სასამართლომ **ჩამოხრჩობა** გადაუწყვეტა აბრამ ლაგოს, რომელმაც ნეჟინში ბოქაული კრემჩენოვსკი მსუბუქად დასჭრა (პ.).

✦ ირკუტსკის საპყრობილედან **გაიქცა პოლიტიკური პატიმარი** კასტიუშკო-ვოლოდკევიჩი, რომელსაც 12 წლით კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი იმის გამო, რომ მან იარაღით წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას (პ.).

* * *

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

(მასალა აღებულია ჟან ლონგეს წიგნიდან)

I

სულ ცოტა ხანია მას შემდეგ, რაც იაპონია ანუ „ამომავალ მზის ქვეყანა" ევროპის საერთო ფერხულში ჩაება და ამ ხნის განმავლობაში საოცარი ნაბიჯი წადგა წინ. ოდესღაც პატარა, უმნიშვნელო, აზიური ქვეყანა, ის დღეს პირველ ხარისხოვანი სახელმწიფო გახდა. მან ჯერ კიდევ 1894 წელს მიიპყრო მთელი ქვეყნის ყურადღება, როდესაც ბუმბერაზი ჩინეთი დაამარცხა და ახლა, როცა ასეთივე საქმე ძლიერს რუსეთს წაჰკიდა,—მასზე ყველა ალაპარაკდა, ზოგს მასთან მეგობრობა სწადიან, ზოგს კიდევ შიშით გული უსკდება, ვაი თუ „ყვითელმა საფრთხემ" გაგვანადგუროსო.

ევროპის ბურჟუაზიის შიში ამ შემთხვევაში საფუძვლიანია. იაპონიაში საკვირველი სისწრაფით ვითარდება კაპიტალისტური წყობილება, რაც ევროპის კაპიტალიზმისთვის საშიში კონკურენტის გაჩენას ნიშნავს. სულ რამდენიმე ათი წელიწადია, რაც იაპონიაში კაპიტალისტური წესწყობილება შევიდა და ახლა ის უკვე დავაჟკაცებულია. 1873 წ. იაპონიას გაჰქონდა საზღვარგარედ მხოლოდ ნახევარი მილიონი იენის (იენი—92 კაპ.) მანუფაქტურული ნაწარმოები, 1903 წელს ეს ციფრები 50 მილიონამდი ავიდა, ე. ი. 30 წლის განმავლობაში ასჯერ იმატა. 1893 წ. სამი მილიონი ტონა (ტონა 61 ფუთია) ქვანახშირი ამოიღეს, 1900 წელს კი შვიდი მილიონი და ოთხასი ათასი. ფოლადის ქარხნებს კიუ-სიუში ამ ჟამად წელიწადში ასი ათასი ტონა ფოლადის დამზადება შეუძლიანთ. 1894 წელს 456 სამრეწველო დაწესებულება ითვლებოდა—59 მილიონი იენით, 1901 წელს ამ დაწესებულებათა რიცხვი 1180 ავიდა, მათი კაპიტალი—250 მილ., ე. ი. ფაბრიკა-ქარხნების რიცხვმა ორჯერ იმატა, ხოლო მათში მოთავსებული კაპიტალი ოთხჯერ გაიზარდა.

კაპიტალის კონცენტრაცია ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. ამის მაჩვენებელია განსაკუთრებით თუთუნის წარმოება, რომელიც ძლიერის ტრესტის მონოპოლიას შეადგენს, და წარმოება ბამბეულებისა, სადაც გაბატონებულია ორი კაპიტალისტი—მიტსუი და მიბუზავა, რომელნიც ამერიკელ მორგანს, ვანდერბილტს და სხვა მსხვილ კაპიტალისტებს მოგვაგონებენ.

მრეწველობის ასე მსწრაფლ განვითარების მიზეზები ქვეყნის გეოგრაფიულ პირობებში უნდა ვეძიოთ. იაპონია პატარა კუნძულებზეა გაშენებული. სახნავ-სათესი მიწების სივრცე ძლიერ პატარაა,—სულ ხუთი მილიონი ჰექტარი; თითო კვადრატ. კილომეტრზე დაახლოვებით 300-მდე ადამიანი ცხოვრობს, ასე რომ თითო მცხოვრებზე თითო ჩვენებური დღიური ძლივს მოდის. ამიტომ მრეწველობა ხდება ხალხის არსებობის მთავარ სახსრად. რადგანაც იაპონიას მეზობლად ჩამორჩენილი ქვეყნები ახლავს, ამიტომ ის მთელ აღმოსავლეთ აზიის ბაზარზე ბატონობს. ეს იწვევს იაპონიის ნაციონალურ სიმდიდრის ზრდას. მაგრამ რადგან „ნაციონალური სიმდიდრე" და ხალხის კეთილდღეობა ერთი და იგივე არ არის, ამიტომ ცხადია, რომ ჩვენი დროის თავსატეხი კითხვა—მუშათა კითხვა—იაპონიაშიაც მთელი თავისი სიმწვავით არსებობს.

თუმცა იაპონია ახალგაზრდა კაპიტალისტური ქვეყანაა, მაგრამ შრომის ექსპლოატაცია იქ უკიდურეს წერტილამდეა მისული. როგორც საზოგადოდ ყველგან, იქაც მსხვილმა კაპიტალისტურმა ფორმამ თავდაპირველად წვრილ წარმოებაზე მიიტანა იერიში. ამან გამოიწვია მუშათა რიცხვის გამრავლება, რამაც გაამწვავა მეტოქეობა თვით მუშათა შორის და ისედაც მცირე სამუშაო ხელფასი კიდევ უფრო შეამცირა. და ეს მაშინ, როცა სამუშაო დღე წარმოების ბევრ დარგში ჩვიდმეტ საათამდი ახწევს, ცხრა საათზე ნაკლებს კი ვერსად შეხვდებით. მხოლოდ ნასწავლი მუშები ღებულობენ დღეში მანეთზე მეტს (მაგალითად რკინის გზის მექანიკოსები 1 მან. 10 კ.). სხვების ქირა კი 17—35 კაპეიკს არ აღემატება. მაღნებში მომუშავენი, სადაც შრომის აუტანელი პირობებია, დღეში თითო იენის (98 კ.) მეტს ვერ იღებენ. ბავშვების დღიური ქირა შვიდ-რვა კაპეიკია.

მუშა-ქალების ექსპლოატაცია პირდაპირ წარმოუდგენელია. იმას გარდა, რომ სულ მცირე ხელფასს იღებენ, მათი პიროვნება, ნამუსიც არ არის უზრუნველყოფილი; ამას ხელს უწყობს, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ თითქმის ყოველ ფაბრიკასთან არსებობს ინტერნატი, ე. ი. მუშებისთვის საზოგადო საცხოვრებელი სახლი, სადაც მუშები ზომიერ ფასებში დამპალ სასმელ-საჭმლით იკვებებიან. ამას გარდა იაპონიაში ჯერ კიდევ არ გადავარდნილა სამუშაო ქირის ჩეკებითგასტუმრება. საქმე ის არის, რომ ფაბრიკანტს თავის ფაბრიკასთან საკუთარი დუქანი აქვს და მუშაც იძულებულია საჭირო საქონელი მისი დუქნიდან წაიღოს.

ზოგან მუშებს ფულით უსწორდებიან, მაგრამ ქირას ისე გვიან არიგებენ, რომ მუშას სხვა გზა არა აქვს—ისევ ამის დუქანს უნდა მიმართოს და 25 პროცენტით მეტი იხადოს.

მთავრობის სახელოსნოებში და არსენალებში შრომის უფრო ცუდი პირობებია. მთავრობამ ისარგებლა თავის მდგომარეობით და თავის სახელოსნოების და არსენალების მუშები ჩინოვნიკებს გაუთანასწორა, ე. ი. წაართვა მათ გაფიცვის თავისუფლება. გარდა ამისა მთავრობა ხშირად მუშებს ითხოვს ალაგიდან და მათ ნაცვლად ქალებსა და ბავშვებს ამუშავებს. მაგალითად, შარშან, რუსეთთან ომის დროს, მთავრობამ 800 ქალი მიიღო ერთბაშად არსენალებში და ათი საათის სამუშაო დღეში თითეულს 14—47 კაპეიკამდი დაუნიშნა. გრძელი სამუშაო დღე, მცირე ხელფასი და მუშაობის აუტანელი ჰიგიენური პირობები,—აი, რა მისცა იაპონიის განვითარებამ იაპონიის მშრომელ ხალხს.

აქცევს თუ არა ყურადღებას ხალხის ასეთ მდგომარეობას კანონმდებლობა, იცავს თუ არა იგი მშრომელთა ინტერესებს, ან უკეთ რომ ვსთქვათ: აქვს თუ არა იაპონიას მუშათა კანონმდებლობა? ასეთი კანონმდებლობა არსებობს, მაგრამ იგი სრულიად არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ის ეხება მხოლოდ მსხვილ წარმოებას; ე. ი. ფაბრიკა, რომელშიაც 50 კაცზე ნაკლები მუშაობს, მას არ ექვემდებარება. სრულიად არ არის ნაჩვენები სამუშაო დღის მაქსიმუმი, ე. ი. ნათქვამი არაა, რამდენ საათზე მეტის მუშაობაა აკრძალული. მხოლოდ ბავშვების შრომას კრძალავს კანონი 10 წლამდი და ვინც 14 წლისაზე ნაკლებია, მათთვის 10 საათს აწესებს. კანონი აწესებს მუშებისთვის ყოველ თვეში ორი დღის დასვენებას, მაგრამ იქვე უმატებს, რომ ამ დადგენილების ასრულება სავალდებულო არ არისო. ვისაც მაშინა დაიშავებს, მას სამრეწველო დაწესებულების პატრონმა დახმარება უნდა აღმოუჩინოს, მაგრამ „თუ ვინმემ განზრახ დაიმახინჯა თავი, ან მესამე პირმა დაამახინჯა, ან რაიმე შემთხვევამ", მაშინ დახმარება ესპობა. თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთ კანონს არავისი დაცვა არ შეუძლიან. მუშას ვერ იფარავს კანონმდებლობა და ის იძულებულია მისი იმედი დაკარგოს და თვითონ შეებრძოლოს უსამართლობას. იაპონიის მუშა გამოვიდა კიდეც საბრძოლველად.

კაპიტალისტურ წყობილებასთან ერთად იაპონიაში ევროპის პოლიტიკური წყობილების ფორმაც იქმნა გადატანილი. დღეს იაპონიას კონსტიტუციონური წყობილება აქვს. მართალია, მისი კონსტიტუცია არ არის ისე ლიბერალური, როგორც ინგლისის და ბელგიის კონსტიტუციები, მაგრამ გერმანიისას მაინც არ ჩამოუვარდება, ცოტათი სჯობია კიდეც.

დღევანდელი იაპონიის კონსტიტუცია 1889 წელს იქმნა შემოღებული. ის აკანონებს პარლამენტს, რომელიც ორი პალატისაგან შესდგება. ქვემო-პალატის წარმომადგენლებს ირჩევენ იაპონიის მოქალაქენი, რომელნიც 25 წლისაზე არა ნაკლების ასაკისა არიან და წლიურად ათ იენს (9 მან. 25 კაპ.) იხდიან (ეს გადასახადი 1900 წელს 15 იენ—13 მან. და 50 კაპ. უდრიდა). 1900 წლამდი ამომრჩეველთა რიცხვი 460 ათასს უდრიდა, მას შემდეგ, როცა ცენზი შემცირდა (სულ ოთხი მანეთით) ამომრჩეველების რიცხვი 700 ათასამდე ავიდა.

ასეთი ცენზის წყალობით მცხოვრებთა დიდი ნაწილი საარჩევნო უფლებას მოკლებულია. ის გარემოება, რომ ამომრჩეველი 25 წლისაზე ნაკლების ასაკისა არ უნდა იყოს, მცხოვრებლების კიდევ უფრო დიდ ნაწილს ართმევს საარჩევნო უფლებას. ამგვარად საყოველთაო საარჩევნო უფლება არ არსებობს იაპონიაში. იაპონიის საკანონმდებლო კრებული—პარლამენტი—უფრო მდიდრებისაგან შესდგება, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ამ მდიდრების კრებულს მაინც საკმაო ძალა აქვს, მონარქიასთან შედარებით. თუმცა ფორმალურად მიკადო მზის ჩამომავლად ითვლება, მაგრამ ტოკიოს პარლამენტს შეუძლიან არასასურველი სამინისტრო სამსახურიდან დაითხოვნინოს. გარდა ამისა კონსტიტუციის მე 29 მუხლი აცხადებს, „ლაპარაკის, წერის, ბეჭდვის, საჯაროდ შეკრების და კავშირების შედგენის თავისუფლებას". ამიტომ სოციალიზმის ლეგალური ქადაგება იაპონიაში თავისუფლად შეიძლება, იქაური პოლიტიკური წყობილება ამის გარანტიას იძლევა.

სოციალისტურ და საზოგადოდ ყოველგვარ რევოლუციონურ მოძრაობას ძალიან აფერხებს ძველი ბარბაროსობის სხვადასხვა ნაშთები, რომელნიც იაპონიაში საკმაოდ შენახულან. ასეთია ქალის თითქმის მონური მდგომარეობა, რომელიც ჯერ კიდევ არ მოსპობილა, მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის პოლიტიკური ცხოვრება საკმაოდ განვითარებულია. ასეთია იაპონიური „ჩიკატაგანაი", ანუ ჩვენებური ბედის-წერა, რომელსაც იაპონელის შეხედულებით ვერსად წაუხვალთ. ეს ყოველგვარ სურვილს ართმევს ადამიანს თავის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იზრუნოს, რადგან, ასეთი შეხედულებით, სულ ერთია ადამიანის ცდა მაინც უნაყოფოდ ჩაივლის. რევოლუციონურ მოძრაობისთვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს აგრეთვე ფეოდალურ წყობილების ნაშთები.

მაგრამ ამგვარ დამაბრკოლებელ პირობებს თანდათან ეკარგება მნიშვნელობა. ამას ხელს უწყობს საზოგადოდ იაპონიის ხალხის განათლება. ჯერ კიდევ 1865 წლის რევოლუციამდე გამოიჩინა იაპონიის ხალხმა განათლებისადმი სიყვარული და დღეს, როცა საყოველთაო, სავალდებულო სწავლებაა შემოღებული, იაპონია ბევრ ევროპის სახელმწიფოზე მაღლა დგას ხალხის განათლებით. ორთავე სქესის მოსწავლეების რიცხვი ხუთ ნახევარ მილიონამდი ადის, მასწავლებლებისა კი—110 ათასამდე, ხოლო მთლად იაპონიაში 46 მილიონი მცხოვრები ითვლება. რუსეთში, სადაც თითქმის 150 მილიონი მცხოვრებია, მოსწავლეების რიცხვი გაცილებით ნაკლებია.

* * *

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭომ გადაწყვიტა: ქალებიც მიიღოს უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელებად, ფორმის ტარება არა სავალდებულოდ გახადოს, სტუდენტად მიიღოს ყველა, ვისაც საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული წოდების, ეროვნების და სარწმუნოების განურჩევლად. ახალ საუნივერსიტეტო წესდებაში სრულებით მოსპობილია სახელმწიფო გამოცდა.

ვიტტემ რკინის გზის მოხელეთა დელეგატებს განუცხადა ამ მოკლე ხანში უთუოდ შემოვა პრესსის და კრებების თავისუფლება, და რკინის გზებზე სამხედრო წესები მოისპობა, სამაგიეროდ შეუძლებელი არის დამფუძნებელი კრება და აცხადებს საყოველთაო საარჩევნო უფლება სასარგებლო არ არის.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

12 ოქტომბერი

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 12 ოქტომბერი. ქალაქის თვითმართველობის პროექტის შესამუშავებლად კომისიას კრება ჰქონდა. არჩეულ იქმნა მეორე კომისია ქალაქის საქმეების მცოდნე პირებისაგან.

ᲧᲐᲖᲐᲜᲘ, 12 ოქტომბერი. სასულიერო აკადემიაში გამოკრულია განცხადება: ვინც 13 ოქტომბრიდან სწავლას არ დაუბრუნდება, აკადემიიდან დათხოვნილ იქნებაო.—სტუდენტების მიერ წარდგენილი მოთხოვნილებანი საბჭომ არ განიხილა.

ᲕᲔᲜᲐ, 12 ოქტომბერი. გაზეთები ამბობენ, ოსმალეთის წინააღმდეგ სახელმწიფოებმა საზღვაო დემონსტრაცია შეიძლება არ მოახდინონო. ამ კვირაში სულთანი ყველა ელჩებს ერთად ინახულებსო.

ᲧᲐᲖᲐᲜᲘ, 12 ოქტომბერი. რეალურ სასწავლებლის საბჭო აცხადებს, ყველა კლასებში სწავლა დროებით შეჩერებულიაო.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 12 ოქტომბერი. გაფიცულ მუშებს უნდოდათ გაესამართლებინათ ქურდები, მაგრამ პოლიციამ ხელი შეუშალა. მოჰკლეს მხოლოდ ერთი ქურდი, მეორე ქურდი და მისი საყვარელი დაჭრეს.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 12 ოქტომბერი. 11 ოქტომბერს გრაფმა ვიტტემ მიიღო რკინის გზის მოსამსახურეთა დეპუტატები. გრაფმა მოისმინა გაფიცვის დაწვრილებითი ისტორია და სთქვა: ამ საკითხის გადაწყვეტაში ოფიციალურად შეიძლიან მონაწილეობა მიიღონ, მხოლოდ მაშინ, როდესაც გზათა მინისტრი ამ საქმეს მინისტრთა კომიტეტს წარუდგენსო. პირადად გრაფმა შემდეგი აზრი გამოსთქვა. რკინის გზების მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი ეკონომიურ საკითხს გარდა პოლიტიკურსაც შეეხება და ამის გადაწყვეტას დიდი დრო უნდაო. ის მოთხოვნილებანი, რომელნიც შეიძლება ახლავ გადაწყდეს, წამოყენებულია იმ მოთხოვნილებებთან ერთად, რომლების გადაწყვეტა მეტად ძნელი საქმეა. ახლა დრო არ არის ვილაპარაკოთ, ვინ არის დამნაშავეო. ცხადია ერთი, რომ რკინის გზებზე გაფიცვები ისეთი დიდი მოვლენაა, რომ ეს შეუმჩნევლად არ გაივლისო. მოსამსახურეთა ზოგიერთი მოთხოვნილებანი შეიძლება ახლავ დაკმაყოფილდესო. სახელმწიფო წესწყობილების საკითხები გრაფმა გვერდზე გადადვა და შეჩერდა მოსამსახურეთა ეკონომიურ მოთხოვნილებებზე, მაგრამ სთქვა, ჩემის აზრით, საყოველთაო არჩევნების შემოღების განხორციელება როგორც გვგონია, ისეთ შედეგს არ მოგვცემს, ამას სხვა სახელმწიფოების მაგალითებიდან ვხედავთო. პოლიტიკურ მოთხოვნილებებში კრებისა და პრესსის თავისუფლებას ამ დღეებში გამოაცხადებენო, როგორც დროებით ზომებს. ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა სახელმწიფო სათათბიროს საქმეა, რაც შეეხება ეკონომიურ მოთხოვნილებებს, გაფიცვების შეერთება კერძოსა და სახაზინო რკინის გზებს, კერძო კაცების რკინის გზებს ხელმძღვანელობენ თავიანთი წესდებით, რომლებიც არ დაირღვევა, რადგანაც ეს მესამე პირის სამოქალაქო უფლების დარღვევა იქნებაო. საზოგადოდ რკინის გზებს რუსეთში დიდი ზარალი მოაქვთ, რომელსაც რუსეთის ხალხი ფარავსო. რკინის გზების მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი ახალ ხარჯებს გამოიწვევს, რომელსაც ბევრი მილიონები მოუნდებაო. მთავრობას არ შეუძლია ადმინისტრატიული წესით ხალხს კიდევ ახალი გადასახადი დაადოს. გლეხობა რკინის გზის მოხელეებზე უფრო ღარიბია და ამ მოხელეთა მოთხოვნილების შესრულება მძიმე ტვირთად დააწვება ხალხის მეორე ნაწილს, რომელიც შედარებით უფრო ღარიბია. ბოლოს ვიტტემ ურჩია მთავრობას ენდევით და ნუ იფიცებიანო, ვინაიდან გაფიცვის გაგრძობა მეტად სახიფათო არისო. გაფიცვა მთავრობის საწინააღმდეგოდ მიმართულია, მის გამო კი მთელი ხალხი ზარალობს. ბოლოს ამ გაფიცვის გამო შეიძლება მთავრობამ ძალას მიმართოს და ხალხის ერთი ნაწილი მეორესი წინააღმდეგ ამხედრდეს გაფიცულებმა თავიანთ საჭიროებას და რუსეთის პოლიტიკურ მდგომარეობას ყურადღება მიაქციეს და მთავრობაც განიხილავს გაფიცვით გამოწვეულ საკითხებს. ეჭვი არ უნდა, რომ სათათბირო მათ განიხილავს.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 12 ოქტომბერი. დაიხურა შემდეგი სასწავლებლები: კურსკში—რეალური სასწავლებელი, სუმში—ვაჟების გიმნაზია, ვიაზმეში—ვაჟებისა და ქალების გიმნაზია, ტულაში—სასულიერო სემინარია.

ᲡᲣᲛᲘ, 12 ოქტომბერი. ხარკოვისკენ ტელეგრაფი აღარ მუშაობს.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 12 ოქტომბერი. მოსკოვ-ვინდავა რიბინსკისა და რიაზან—ურალის რკინის გზების გამგეობებში მუშაობა შესწყდა.

ვარშავის ვაგზლის ყველა მოსამსახურეებმა მუშაობა შესწყვიტეს.

ᲕᲘᲜᲓᲐᲕᲐ, 12 ოქტომბერი. გენერალ გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა, რკინის გზების მოსამსახურე და დღიური მუშათაგანი ვინც თავის ნებით სამსახურს თავს დაანებებს, სამი თვით ციხეში დავაპატიმრებ და 3,000 მანათამდე ჯარიმას გადავახდევინებო.

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲝᲡᲚᲐᲕᲘ, 12 ოქტომბერი. მაღაზიები დაკეტილია. ფოსტასა და ტელეგრაფს ჯარი იცავს, რკინის გზასა და ქალაქში სიბნელეა, ქუჩები ცარიელია, დადიან მხოლოდ ჯარის კაცებისა და კაზაკების რაზმები.

ვოკზალი დაკეტილია. რკინის გზის ტელეგრაფი და ტელეფონი ისევ გააფუჭეს.

ᲙᲘᲔᲕᲘ, 12 ოქტომბერი. სამხრეთ-დასავლეთის გზებზე მოძრაობა არ შეწყვეტილა. პოლტავის გზაზე შესწყდა. გაფიცულთა კომიტეტმა შეიმუშავა შემდეგი მოთხოვნილებანი: რკინის გზაზე სამხედრო წესების ახსნა, 8 საათის სამუშაო დღე, საპენსიო კასსის ლიკვიდაცია, პირველ გაფიცვის შემდეგ დათხოვნილ მოსამსახურეთა უკანვე მიღება. ამასთან განცხადებულია, რომ გაფიცულთ ყოველ გვარ საშუალებებით დაიცავენ და გაფიცვის შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ სხვა გზებთან შეთანხმების შემდეგ.

ᲡᲐᲠᲐᲢᲝᲕᲘ, 12 ოქტომბერი. მოვიდა სამი მატარებელი გაფიცულთა დელეგატებით. ღამე და დილით დანარჩენ დელეგატებს ელიან. მატარებელს გზაზე ხალხი აღტაცებით ეგებებოდა. ხვალ საზოგადო თათბირი ექმნებათ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 12 ოქტომბერი. რამდენიმე გაფიცული მუშა როგორღაც ფოსტის განყოფილებაში შევიდა. მათ მოითხოვეს მუშაობის შეწყვეტა. უნდოდათ ტელეგრაფის განყოფილებაშიც შესულიყვნენ, მაგრამ ჟანდარმებიც შევიდნენ. ფოსტას პოლიცია გარს შემოერტყა. ხალხმა პოლიციას სროლა დაუწყო. ჟანდარმებმა ხალხი გაჰფანტეს.

13 ოქტომბერი

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. ვარშავა-ვენის რკინის გზაზე საღამოს 6 საათზე მიმოსვლა შესწყდა. რკინის გზის ბატალიონი ვარშავაში ფეხით ჩავიდა. გაფიცულია ყველა გზა. შიშობენ, რომ ხორცის, ნახშირის, რძის ნაკლებობა მომოვა. გუშინ ლოძის ქარხნები გაიფიცნენ.

ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝᲞᲝᲚᲘ. რკინის გზების მიმოსვლა შესწყდა. კავკასიიდან, ყირიმიდან მომავალი მგზავრები სევასტოპოლში დარჩნენ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ღამე ნიკოლაევის გზაზე ფოშტის, სასანიტარო და სამი სამგზავრო მატარებელი წავიდა. ბრესტიდან ჩამოვიდა ერთი მატარებელი. ბრესტის გზის სახელოსნოებში დაითხოვეს მუშები. ყაზანის გზაზე ორი მატარებელი წავიდა.

ᲡᲘᲖᲠᲐᲜᲘ, ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ, ᲕᲝᲠᲝᲜᲔᲟᲘ. 11-ს საღამოს რკინის გზაზე მიმოსვლა შესწყდა.

ᲑᲐᲥᲝ. გაიფიცნენ ეიზენშმიდტის ქარხანაში.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. მუშაობა შესწყდა ქარხნებში: კიევის გემთ-ამშენებელი, ალექსანდროვსკი, ტორნტონის და კარგუნინის. ქუჩებში ჯარია. ბალტიის სადგურზე გაფიცვაა, მიმოსვლა შესწყდა. ცარსკოსელის გზაზე მიმოსვლა სწარმოებს. ნიკოლაევის გზაზე კიდევ არის მიმოსვლა.

რკინის გზების მინისტრმა მუშათა დელეგატებს უთხრა, რომ პრესსის და კრებების თავისუფლება ამ რამდენიმე დღეში იქმნება გამოცხადებული.

გაიფიცა მეორე გიმნაზია. მეაფთიაქეებმა დაუთმეს გაფიცულ ფარმაცევტებს. პროფესორი ვვედენსკი, რომელსაც ბოიკოტი გამოეცხადა, ლექციაზე რომ მოვიდა, სტვენით დახვდნენ და ლექცია შეაწყვეტინეს.

გაზეთი „ნაშა ჟიზნ" არ გამოსულა. ცენზურის თხოვნის მიუხედავად რედაქციამ ერთი სტრიქონიც არ შეცვალა და მთელი ნომერი ამის გამო დაჭერილი შეიქმნა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ფარმაცევტებმა ეკონომიურ მოთხოვნილებაზე ხელი აიღეს. მთავრობამ საშინელი ზომა მიიღო. ელექტრონის საზოგადოებამ გააფრთხილა აბონენტები, ამაღამ ელექტრონი შეიძლება აღარ იყოსო.

15 ოქტომბერს ყველა ბანკებში მოსამსახურეთა კრებაა.

მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორმა დეპეშით სთხოვა მთავრობას ხალხს უფლება მიანიჭოს სხვაგან, უნივერსიტეტის გარეშედაც შეიკრიბონ თავისუფლად კრებებზე, ვინაიდან ახლა კრებების თავისუფლება მხოლოდ უნივერსიტეტებში არსებობს და ყველა უნივერსიტეტების კრებებს აწყდება და მათ პოლიტიკურ ხასიათს აძლევსო.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. უმაღლესად დამტკიცებულია სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენელთა არჩევნების წესი პოლონეთში სულ 36 წარმომადგენელი იქმნება. მემამულეთა ცენზი [illegible] გუბერნიაში 100 დესეტინაა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ფოსტის კონტორა აცხადებს, ვიდრე რკინის გზებზე მიმოსვლა არ განახლდება, აღარაფერს მიიღებს გასაგზავნად.
გაჩერებული, ხალხით სავსე.

ᲒᲝᲛᲔᲚᲘ. გაფიცვის გამო შესწყდა მატარებელთა მიმოსვლა რკინის გზებზე. საზარელი მდგომარეობაა. ვოკზალზე წყვდიადია. ყველგან ჯარია ჩაყენებული.

ᲜᲝᲕᲝᲩᲔᲠᲙᲐᲡᲙᲘ. სასულიერო სემინარიის შეგირდებმა სწავლა შესწყვიტეს.

ᲡᲚᲐᲕᲘᲐᲜᲡᲙᲘ. სადგურზე ორი მატარებელია.

ᲙᲠᲔᲛᲔᲜᲩᲣᲒᲘ. ხარკოვიდან მატარებელი მოვიდა სამი ვაგონით და ხარკოვის რკინის გზის მომუშავეთა დელეგატები მოიყვანა. დეპოში მიტინგი გაიმართა. მატარებელზე წითელი ბაირაღი აფრიალეს.

ᲙᲣᲠᲡᲙᲘ. მიტინგები იყო მრავალჯერ და მრავალ-რიცხოვანი. მოითხოვეს, რომ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებიც დაიკეტოს. სასწავლებლები დაკეტილია.

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲝᲡᲚᲐᲕᲘ. საზარელი მდგომარეობაა. თხოულობენ პიროვნების, კრებისა და მწერლობის თავისუფლებას. ჯარის კაცები მუშებს იჭერენ. ტელეგრაფი რიგზე ვერა მუშაობს.

ᲙᲘᲔᲕᲘ ტელეგრაფისტები გაიფიცნენ. სამხედრო ტელეგრაფისტები დაიბარეს. სატახტო ქალაქებიდან ფოსტა არ მოდის. ქარხნებზე აგიტატორები მუშაობაზე ხელს აღებინებენ.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი,

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, გელიკოვსკიასკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ზახარიევსა და სომხის ბაზარში გასაკეთებელია კანალიზაცია.

20 საჟ. ბეტონის მილი 0,375×0,28.
38 საჟ. „ „ 0,25×0,16.
და სამი გასასინჯი ჭა.

ვისაც სურს ამ სამუშაოს გაკეთება გამოცხადდეს გამგეობაში 18 ოქტომბერს, დილის 12 საათზე. წერილობითი განცხადება ფასების აღნიშვნით წარმოდგენილ უნდა იქმნეს ამავე დროისათვის. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, უქმეების გარდა ნაშუადღევის 1—2 საათამდე. (3—1)

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში,
აგრეთვე „ივერიის" რედაქციაშიაც
ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ
ᲞᲔᲢᲠᲔ ᲣᲛᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ
გამოცემა „ცისკარი"-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Октября 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5.